პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეოთხე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტის და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცენტრ. აღმასკომის ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 საათ.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76 (მდივანის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, ტელეფონი 10—49
ხელისმომწერთა ფასი: მუშა-მოსამსახურეთ —65 კ., დანარჩ. ქალაქში—85 კ. ქალაქს გარეთ 95 კ. განცხადებები: ნომპარელის სტრიქონით—20 კ. აწყობა ციფრებით—25 კ. ა. | კვარეშე—40 კ. აწყობა ციფრებით—60 კ., შუა გვერდებში—ორჯერ მეტი. სამგლოვიარო განცხადება - 5 მან. განმეორებითი განცხადება 15 პროცენტ. შეღავათით. განცხადება მიიღება ნაშუადღ. 3 საათამდე.

სამშაბათი 21 ოქტომბერი 1924 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კ. № 241 (1096)

დღიური

— გერმანიის მთავრობის თავმჯდომარემ განაახლა მოლაპარაკება ნაციონალისტებთან მთავრობის გაფართოების შესახებ.

— გაიხსნა საფრანგეთის რადიკალების ყრილობა, რომელმაც დაადგინა უფრო მჭიდროდ ითანამშრომლოს სოციალისტებთან.

— შვეციის მეფემ დაამტკიცა [illegible] ბრანტინგის მიერ შედგენილი მთავრობა.

— ჩინეთში ორივე მხარე აწარმოებს ძალების გადაჯგუფებას.

— ბელგიაში გრძელდება სამთა-მადნო წარმოების მუშათა გაფიცვა.

ახალი სიო ქართულ ემიგრაციაში

(გ. ვეშაპელის განცხადების გამო)

თუ რას აკეთებდნენ საზღვარ-გარედ გადახვეწილი ქართველი კონტრრევოლიუციონერები,—ეს ყველამ კარგად ვიცით, ამაზე საკმაო მასალაც იყო გამოქვეყნებული ჩვენს პრესაში. შეიარაღებულ აჯანყების მოწყობა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, იმპერიალისტური ევროპის ინტერვენციის გამოწვევა საქართველოში,—ამ მიზნის განსახორციელებლად ისინი არ ერიდებოდნენ არაფერს. „ამუშავებდნენ“ დასავლეთის „საზოგადოებრივ აზრს“, მუხლმოდრეკით იდგნენ ევროპის მთავრობათა მისაღებ ოთახებში, „მემორანდუმებით“ აბეზრებდნენ თავს სხვადასხვა კონფერენციებს, აყენებდნენ სიცრუის კორიანტელს, ეწეოდნენ ჯაშუშობას, გზავნიდნენ ჩვენს ქვეყანაში აჯანყების ხელმძღვანელებს, ღებულობდნენ იმპერიალისტურ მთავრობებისა და ბანკირებისაგან ფულით დახმარებას და მრავალი სხვა.

ამ თვენახევრის წინედ ჩვენ კიდევ ვიხილეთ მათი თითქმის ოთხი წლის „მოღვაწეობის“ შედეგი.

მაგრამ ეს ავანტიურა აღმოჩნდა იმდენად განმანადგურებელი მისი სულის ჩამდგმელებისათვის, განმანადგურებელი არა მარტო ფიზიკურად, არამედ პოლიტიკურად, მორალურად, რომ შეიძლება საკითხის დაყენება იმის შესახებ, თუ როგორ მოიქცევა შემდეგში ქართველი ემიგრაცია.

მენშევიკებმა და დანარჩენ კონტრრევოლიუციონერებმა დიდი ხანია, სულ ყოველგვარი ნიადაგი დაჰკარგეს ჩვენში, საქართველოს მუშებსა და გლეხებში. უკანასკნელმა ამბებმა ხომ უძირო უფსკრული გაუთხარეს ამ ისედაც განწირულ ხალხს. ეგრედწოდებული საზოგადოებაც გაიმიჯნა მათგან.

ასე რომ საქართველოში კონტრ-რევოლიუციის საფუძველი ძირიან-ფესვიანად აღმოფხვრილია.

ჩვენებური ემიგრაცია არც ევროპაშია მაინცა და მაინც სახარბიელო მდგომარეობაში. უკანასკნელ ავანტიურის სამარცხვინოდ დასრულებამ იქაც სავსებით გამოააშკარავა მენშევიკების გახრწნა და უძლურება. იმედი გაუცრუვდათ მათზე იმათაც, რომელნიც ცდილობდნენ მენშევიკების გამოყენებას თავიანთ იმპერიალისტური ზრახვებისათვის. ამის შემდეგ, ცხადია, ევროპის ბანკირები ფულს ტყუილ-უბრალოდ არ გადაყრიან და მენშევიკებს დახმარებას მოუსპობენ. ვერც საქართველოს „დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობას“ მოუსმენს ვინმე სერიოზულად.

საქართველოს ემიგრაციას მოსპობილი აქვს ყოველგვარი პერსპექტივა, ყოველგვარი იმედი. იგი მოკლებულია ყოველგვარ საშუალებას იაროს ძველი გზით, ისევ ემზადოს ახალი „აჯანყებისათვის“.

სად შეიძლება იყოს მისთვის გამოსავალი?

ჩვენ თვალწინ გვაქვს რუსეთის ემიგრაციის მაგალითი. როცა მისი გონიერი ნაწილი დარმწუნდა, მისთვის მრავალ მწარე გაკვეთილების შემდეგ, საბჭოთა ხელისუფლებასთან ბრძოლის გაგრძელების უაზრობაში,—მან იწყო პირის მობრუნება, საერთო ენის ძებნა ამ ხელისუფლებასთან. ამგვარად გაჩნდა მიმართულება, რომელიც ცნობილია „სმენავეხელობის“ სახელით. ჩვენ დღეს არ შევუდგებით „სმენავეხელების“ ამ ნაბიჯის შინაგან მოტივებს. ვიტყვით მხოლოდ, რომ ეს მიმდინარეობა, როგორც ანტისაბჭოთა ემიგრაციის დარღვევის მაჩვენებელი ფაქტი, მნიშვნელოვანი მოვლენა იყო.

დაადგება კი ამ გზას ქართველი ემიგრაცია? მისი სულიერი განწყობილების, მისი შინაური ცხოვრების შესახებ ჩვენ ძალიან ცოტა ცნობები მოგვეპოვება.

მაგრამ რომ ამ „კეთილშობილ ოჯახში“ ყველაფერი რიგზე არ არის,—ეს ცხადია.

თავის დროზე ჩვენ გამოქვეყნებული გვქონდა ერთი ეპიზოდი ამ „ჭეშმარიტ მამულიშვილთა“ „თავგადასავალიდან“; სახელდობრ ცნობა „რაინდული დუელის“ შესახებ საქართველოს „დემოკრატიული რესპუბლიკის ყველა შეიარაღებულ ძალთა მთავარსარდლის“ გენ. კვინიტაძისა და „ვიცე-პრეზიდენტ“ ე. გეგეჭკორს შორის; მოყვანილი გვქონდა მოკლე ანგარიში პარიზში მოკალათებულ ემიგრაციის წევრთა კრებისა, სადაც ისინი ერთმანეთს გაუმასპინძლდნენ „პადლეცის“, მატყუარას, ქურდის და სხვა ასეთი „ლამაზი“ სიტყვებით.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ასეთ „მეგობრულ“ დამოკიდებულებას მაშინ სარჩულად ედო არა იმდენად პოლიტიკური მოტივი. რამდენად პირადი ინტერესი: აქედან გატაცებული სიმდიდრე და ბანკირებისაგან მიღებული „მოწყალება“ ყველას ერთნაირად არ ემლეოდა, და ამ ნიადაგზე ზოგი „გულნაკლული იყო“.

მაგრამ ცხადია, რომ „ჟამთა ვითარებაში“ ქართველ ემიგრაციასაც უნდა დასტყობოდა რღვევის პროცესი; ეს მოსალოდნელია განსაკუთრებით მენშევიკების ავანტიურის შემდეგ, ავანტიურის, რომელმაც დაასამარა მათი ყოველგვარი იმედი.

გ. ვეშაპელის განცხადება, რომელიც დღეს იბეჭდება ჩვენს გაზეთში, ქართული ემიგრაციის ორგანიზაციულად რღვევის დასაწყისის მაჩვენებელია. გ. ვეშაპელი უკიდურესი მემარჯვენეა მემარჯვენეთა შორის. მას ვერავინ დასწამებს საბჭოთა ხელისუფლებისადმი სიყვარულს. მაგრამ იგი იძულებულია აღიაროს: პირველი, რომ „პასუხისმგებლობა აგვისტოში მომხდარ აჯანყებისათვის ედება ანტი-ბოლშევიკურ პარტიების—მენშევიკების, ნაციონალ-დემოკრატების და სხვა პარტიების ბლოკს“; მეორე: „ქართველი ხალხის ინტერესებისათვის საჭიროა ამ ორგანიზაციის ლიკვიდაცია“; მესამე: „ქართველმა ინტელიგენციამ და ქართველი ხალხის სხვა ჯგუფებმა უნდა ითანამშრომლონ საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებასთან რათა განამტკიცონ პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული მიღწევები, რომელიც მოპოვებულია ომისა და ოქტომბრის რევოლიუციის წყალობით“; მეოთხე: „ამისათვის ქართველი ემიგრანტები უნდა დაბრუნდნენ სამშობლოში“; მეხუთე: „საქართველოს ბედ-იღბალი მჭიდროდაა გადაბმული რუსეთის ბედ-იღბალთან“; მეექვსე: „საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობა საბჭოთა კავშირის კონსტიტუციით გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვინემ მისი წინანდელი ცნობა ანტანტის უმაღლესი საბჭოს მიერ“.

როგორც ეტყობა, „ფაქტების ლოღიკას“ შეურყევია ვეშაპელებიც.

ემიგრაციის უმრავლესობა, მისი ქვედა ფენები, ვფიქრობთ, უნდა ჩაუკვირდეს საქმეთა ვითარებას, თუ მათ კიდევ შერჩენიათ საღი განსჯის უნარი. რა თქმა უნდა, ეს ძალიან დაგვიანებული იქნება, მაგრამ სჯობია გვიან, ვიდრე არასოდეს.

ვეშაპელის განცხადებას, თუ ის ცალიერი სიტყვა არ არის, უნდა მოყვეს შესაფერი პრაქტიკული ნაბიჯი,—არა მარტო მისი, არამედ სხვების მხრივად.

ემიგრანტების უგზო-უკვლო ხეტიალს ევროპაში ეს გაცილებით აჯობებს, აჯობებს პირველ ყოვლისა მათთვისვე. ხელისუფლება ამის საშუალებას მისცემს ყველას, ვინც გადაჭრით უარყოფს ემიგრაციის ძველ გზას, იცნობს მშრომელთა ბატონობას და მოისურვებს დაუბრუნდეს სამშობლო კერას ხალხის სამსახურისთვის მისი ხელისუფლების ხელმძღვანელობით.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადი საქართველოში

თუ განვიხილავთ ჩვენი რესპუბლიკის მაზრების და ავტონომიურ ნაწილების მოსავლიანობას მიმდინარე წელში, მათი სხვა ყოველგვარ შემოსავალს, როგორც მეურნეობიდან, ისე გარეშე საშოვარს—ერთი მხრივ; ხოლო მ ორე მხრივ—მათი გადასახადის უკანასკნელად დაწესებულ კონტინგენტს,—გადაჭრით უნდა ითქვას, რომ მიუხედავათ წრევანდელი მოუსავლიანობისა, სასოფლო-სამეურნეო გადასახადი სავსებით შეეფარდება ჩვენი სოფლის მეურნის გადამხდელობითი უნარიანობას.

თუ მივმართავთ ციფრების ენას, მივიღებთ შემდეგ სურათს:

№№ რიგ.	მაზრები და ავტ. ნაწილები.	საერთო პროდუქც. მანეთებში	გადასახადის რაოდენობა მანეთებში	გადასახადების რაოდენობა პროც.
1.	ახალქალაქის	3.558.993	327.516	9,2
2.	ახალციხის	2.091.937	187.545	8,9
3.	ბორჩალოს	2.823.937	375.617	13,3
4.	გორის	3.715.772	321.646	8,8
5.	დუშეთის	1.238.682	393.643	7,6
6.	სიღნაღის	3.641.851	424.299	11,6
7.	თელავის	2.525.185	249.122	9,8
8.	თბილისის	4.023.500	423.158	10,5
9.	ზუგდიდის	2.267.625	140.393	6,2
10.	ქუთაისის	3.435.382	302.397	8,8
11.	ლეჩხუმის	620.650	32.775	5,3
12.	ოზურგეთის	1.868.197	112.550	6,3
13.	რაჭის	748.590	53.236	6,3
14.	სენაკის	1.954.617	151.260	7,8
15.	შორაპნის	3.401.655	196.948	5,7
16.	აჭარა	826.783	43.785	5,3
17.	აფხაზეთი	3.640.000	224.866	6,2
18.	სამხრეთ-ოსეთი	1.116.655	67.220	6,2
	ს უ ლ .	43.605.889	3.727.978	8,5

ამ ციფრებიდან ნათლად სჩანს, რომ საერთოთ ჩვენი რესპუბლიკის გლეხობა იხდის მხოლოდ 8,5 პროც. თავისი შემოსავლიდან. ეს პროცენტი კიდევ უფრო დაიწევს, თუ ვიქონიებთ მხედველობაში, რომ საერთო შემოსავლის ჯამში არ შედის გლეხის მეურნეობის გარეშე საშოვარი,—შინა-წარმოებიდან, ტვირთ-ზიდვიდან, მეფუტკრეობიდან, ფრინველებიდან, მეაბრეშუმეობიდან და სხვა. ჩვენ ხელთ არ გვაქვს დაწვრილებითი ცნობები ამ უკანასკნელი წყაროებიდან შემოსავლის რაოდენობის და მნიშვნელობის შესახებ გლეხის ბიუჯეტში, მაგრამ დაახლოვებით შეგვიძლია ვთქვათ,—რომ მისი სიდიდე ჩვენი სოფლის ცხოვრების სინამდვილეში არ უნდა იქნეს 15—20 პროც. ნაკლები, ე. ი. თუ გლეხის მთელი შემოსავალი ყველა წყაროებიდან უდრის წელიწადში ას მანეთს, ამაში 15—20 მანეთი შემოსდის მას ამ უკანასკნელი წყაროებიდან. ცხრილში მოყვანილ პროდუქციაში შედის შემოსავალი მხოლოდ მემინდვრეობიდან, მევენახეობიდან, მებაღეობიდან, მესაქონლეობიდან, მეთამბაქოობიდან და მებამბეობიდან.

ჩვენი გლეხის საგადასახადო გამოსაღებების სიმცირე კიდევ უფრო აშკარა გახდება, თუ შევადარებთ მას იმ გადასახადებს, რასაც იხდიდა იგი მეფის დროს. ჩვენ ხელთ არის ცნობები, თუ თავის შემოსავლის რამდენი პროცენტი უნდა გაეღო გლეხს გადასახადების სახით მეფის დროს. მაშინ გადასახადების უმთავრესი სიმძიმე აწვებოდა გლეხს და სახელმწიფოს მიქონდა მისგან მთელი შემოსავლის არა ნაკლები—20,54 პროც.; ამ ორი ციფრის—ეხლანდელი 8,5 პროც. და მეფის დროის 20,54 პროც. შედარება ნათლად გვიჩვენებს, თუ რამდენათ უფრო მარტივი და მცირეა გლეხის ეხლანდელი გადასახადი იმ მრავალრიგ და მრავალ-ფეროვან გადასახადებთან შედარებით, რომლებსაც ახდევინებდა მას ყოფილი მეფის მთავრობა.

მაგრამ ეს ცოტაა: თუ ზოგადათ მაინც გავითვალისწინებთ ამ ორივე დროის გადასახადების სტრუქტურას, ნათლად დავინახავთ, რომ გადასახადების მთელი სიმძიმე აწვებოდა წინეთ შეუძლო გლეხობას. ვის არ ახსოვს, რომ ეგრეთწოდებული სასოფლო გადასახადებს — სკოლებისა, გზებისა, საფოსტო, საკანცელარიო, სადარაჯო და სხვა („მირსკიე სბორი“), რომელთა სიდიდე ხანდახან ადიოდა ყველა გადასახადების 50 პროცენტამდე, იხდიდა მარტო გლეხობა და სხვა არავინ. სულ სხვა სურათია ახლა,—ჩვენი საგადასახადო პოლიტიკა დამყარებულია პროგრესიული შემოსავლის პრინციპზე; გლეხი იხდის გადასახადს თავისი შემოსავლის კვალობაზე; ულარიბესი გლეხობა კი სრულიად განთავისუფლებულია გადასახადებისაგან, მიმდინარე წელს მთელ საქართველოში აღრიცხულია **412,910** სოფ. მეურნ. მათში სრულიად განთავისუფლებულნი არიან, როგორც ღარიბნი—**91,016** მეურნე, რაც შეადგენს მთელი მოსახლეობის თითქმის ერთ მეოთხედს.

მაგრამ არც ამით ამოიწურება ეხლანდელი საგადასახადო სისტემის უპირატესობა. დანარჩენი გლეხობაც, რომელიც იხდის გადასახადს, დაყოფილია ცხრა ჯგუფათ ეკონომიური სიმძლავრის ნიშნებით და ყოველი ჯგუფი იხდის გადასახადს იმის მიხედვით, თუ რამდენია მისი შემოსავალი, თუ რამდენათ უზრუნველყოფილია იგი ქონებრივათ.

საშუალო გადასახადი ოჯახზედ მეხუთე ჯგუფამდი—რაც უნდა ჩაითვალოს საშუალო გლეხობათ—არ აღემატება წელიწადში 8—10 მანეთს; და ეს მაშინ, როცა ამ გადასახადის გარდა გლეხი არ იხდის არავითარ სხვა გადასახადს.

ეხლანდელ და მეფის დროის გადასახადის შეფასების დროს აგრეთვე მხედველობაში უნდა ვიქონიოთ არა მარტო გადამხდელ გლეხის ეკონომიური მდგომარეობა, არამედ აუცილებლად ანგარიში უნდა გაეწიოს მის სულიერ განწყობილებასაც. თუ გლეხი იხდის ახლა გადასახადს, იგი დარწმუნებულია, რომ ეს გადასახადი იხარჯება ისევ მისი კულტურულ-ეკონომიური მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, რასაც, რასაკვირველია, არ ჰქონდა ადგილი წინეთ.

ამ უკანასკნელ გარემოებას აქვს დიდი წამახალისებელი მნიშვნელობა და ცხოვრების სინამდვილეც ამაში გვარწმუნებს: გასული 1923—24 წლის გადასახადის თითქმის 90 პროც. ჩვენმა გლეხობამ გადაიხადა ნებაყოფლობით და შეგნებით: მთელი წლის განმავლობაში არ ყოფილა შემთხვევა, რომ ძალდატანებით, რეპრესიული ზომებით გადაეხადოს გლეხობის ჯგუფს გადასახადი.

დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ მიმდინარე წელშიც ჩვენი გლეხი მოიქცევა ასევე და მუშურ-გლეხურ მთავრობის წინაშე თავის საგადასახადო მოვალეობის სრული შეგნებით გაიღებს მასზე შეწერილ გადასახადს, რითაც მისცემს საბჭოთა ხელისუფლებას საშუალებას კიდევ უფრო გააძლიეროს მუშაობა სოფლის მცხოვრებთა საკეთილდღეოთ.

ვ. ჯ.

რა სტკივა საქართველოს

I

ორი ხაზი „ეროვნულ“ ბრძოლაში

ნაძალადევის თეატრში მოხსენების შემდეგ შემეკითხა ერთი,—რომ დამარცხდა ეს აჯანყება, იმიტომ ეძახით მას ავანტიურას?

— არა, ვუთხარი მე შემკითხველს, აჯანყება შეიძლება დამარცხდეს არა ერთჯერ და ორჯერ. ამიტომ არ იქნება ის ავანტიურა, მაგრამ, როცა ამზადებ, აწყობ და პირველი დამარცხებისათანავე ამბობ, ეს შეცდომა ყოფილაო, მაშინ ავანტიურის მეტი არაფერი არ დაერქმევა შენ ნაკეთებ საქმეს.

თავი და თავი საკითხია,—არის თუ არა აჯანყება ის, რაც სჭირდება საქართველოს თავის დამოუკიდებლობის გასამტკიცებლათ. თუ სჭირდება, მისი მომხრე უნდა იყო, ათასჯერაც რომ დამარცხდე, თუ არ სჭირდება, უნდა უარჰყო, საერთოთ, როგორც ბრძოლის ხაზი, გამარჯვების იმედიც რომ გქონდეს დღესდღეობით.

ვიმეორებ, ავანტიურა გამოვა ყოველთვის, როცა არ უფიქრდები ამ თავ და თავ საკითხს. სოციალ-დემოკრატიას არ მოუფიქრებია ეს, მის პრაქტიკაში იყო ერთმანეთში გადახლართული ხაზები, არ ყოფილა ერთი სწორი და გარკვეული ხაზი.

ამაზე მინდა ვსთქვა ჯერ ორიოდე სიტყვა, სანამდის შევუდგებოდე იმის დაფასებას, რაც მოხდა საქართველოში.

— ჩვენ არ ვერევით რუსეთის შინაურ საქმეებში, არც გვინდა, რომ ჩაერიოს ვინმე, ჩვენ გვინდა მხოლოდ, რომ არც რუსეთი ერეოდეს ხოლმე საქართველოს საქმეებში, რუსეთი იყოს თავისთვის, ჩვენ ვიყოთ ჩვენთვის. ჩვენ არასოდეს არ გამოვსულვართ იმის წინააღმდეგ, რომ ევროპამ იცნოს რუსეთი და იქონიოს იმასთან ხელშეუშლელი ურთიერთობა. ჩვენი სურვილია მარტო ის, რომ ევროპა მოგვეხმაროს და რუსეთის ჯარი მოგვაშორებინოს აქედან,—იწერებოდა ხშირათ საზღვარგარეთიდან ნ. ჟორდანია.

ეს არის ერთი ხაზი იმ ეროვნული ბრძოლის, რომელსაც სათავეში ედგა უკანასკნელ აჯანყებამდის საქართველოს სოციალ-დემოკრატია.

— არავინ არ მოგვეხმარება, არავინ არ მოვა საქართველოს გასანთავისუფლებლათ, მაგრამ თუ ადგილი ექნება რაიმე კომბინაციებს, თუ მოხდა გართულება რუსეთის გარშემო, ჩვენ ამითი ვისარგებლებთ... აუცილებლად მოუხდება რუსეთს შეჯახება ევროპის სახელმწიფოებთან. ამისათვის ჩვენ უნდა ვიყოთ მზათ მორალურათ და პოლიტიკურათ, რომ საქართველოც გამოვიდეს მაშინ თავისუფალი და გამოჭედილიო,—იწერებოდა ხშირად საზღვარგარეთიდან იგივე ნ. ჟორდანია.

ეს არის მეორე ხაზი იმავე ეროვნულ ბრძოლაში, რომელსაც სათავეში ედგა უკანასკნელ აჯანყებამდის იგივე სოციალ-დემოკრატია.

ბოლო ხანებამდის საქართველოს სოციალ-დემოკრატია, ნ. ჟორდანიას მეთაურობით ფიქრობდა,—რუსეთში უნდა დარჩეს საბჭოთა ხელისუფლება, რეაქციის ხელშემწყობი გამოვა იქ ყოველნაირ შეიარაღებული აჯანყება, საქართველოს განთავისუფლება სულაც არ მოითხოვს ამ ძალაუფლების ჩამოვარდნას რუსეთშიო.

ეს იყო ერთი ხაზი.

ბოლო ხანებში საქართველოს სოციალ-დემოკრატია ნ. ჟორდანიას მეთაურობით ფიქრობდა,—სასურველია საიდანაც უნდა იქნეს, გართულება, შეჯახება. საბჭოთა ძალაუფლება უნდა ჩამოვარდეს რუსეთში და მაშინ შეიძლება საქართველოს განთავისუფლებაო.

ეს იყო მეორე ხაზი.

შეუთანხმებლობა, წინააღმდეგობა სოციალ-დემოკრატიის ტაქტიკას ქიასავით შეუჩნდა ძვალ-რბილში, დააკარგვინა პერსპექტივები, პრინციპი გადააქცევინა უპრინციპობათ და უპრინციპობა—პრინციპად.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიამ ვერ მოახერხა სვლა პირველ ხაზზე.

რანაირად მოახერხებდა. შენ თუ არ გინდა ჩაერიოს ვინმე რუსეთის საქმეებში, რუსეთს ძალა დაატანოს, როგორღა შექმნი ისეთ პირობებს, რომ რუსეთი მოეხსნას საქართველოს.

ეგებ, ვინმემ, მაგალითად, ერთალიგამ მშვიდობიანათ, მეგობრულად, ან მტრული კილოთი უთხრას რუსეთს, მოეხსენი საქართველოსო. რუსეთი ეტყვის,—ვინ გკითხავს, რა შენი საქმეაო.

რას აპირებს მერე ის, ვინც მარტო დიპლომატიური ჩარევის მომხრეა და ამბობს,—ინტერვენცია არ იქნება ამისთანა ჩარევაო.

ის, რასაკვირველია, მომხრე შეიქნება არა მარტო დიპლომატიური ჩარევის და . . . . შეიქნა კიდეც.

მაგრამ ისტორიამ არ გაამართლა ასე ლოღიკურად დაბოლოვებული ხაზიც. ევროპა რომ საქართველოსთვის არ იწუხებს თავს, ეს ახლა ყველასათვის ცხადია, მეტადრე ამ უკანასკნელი ამბების შემდეგ. საქართველო დარჩა მიტოვებული.

შავებში ჩაცმულ ჭირისუფლებს ეყურებოდათ, რომ იქ ლაპარაკობდნენ ახლა ეყურებათ, რომ ლაპარაკსაც თავს ანებებენ.

ამას მოველოდი სწორედ და ამას ვამბობდი.

ევროპის მმართველი წრეები საქართველოს საკითხს ყურადღებას აქცევენ იმდენად, რამდენადაც ეს საკითხი ართულებს რუსეთის საერთაშორისო მდგომარეობას. ევროპის მმართველ წრეებს უნდათ, რომ მოუსვენრობა არ გათავდეს საბჭოთა კავშირში და საქართველოს საკითხი იყოს ერთ-ერთი წყარო ამ მოუსვენრობის.

ეს იყო სარჩული იმ ხმების, იმედების, საზოგადოთ ყოველივე იმის, რაც მოდიოდა ევროპიდან საქართველოს „სასარგებლოდ“, ასე აიმედებდნენ, პირდებოდნენ, იჯერებდნენ, თავს იტყუებდნენ.

ეს თავმოტყუილება გრძელდება ახლაც და შეურიგებელი წრეები კიდევ იქცევიან „ევროპით“.

ევროპიდან გაუგზავნია ნ. ჟორდანიას ამ დამარცხების შემდეგ დეპეშა მოსკოვისთვის, შეაჩერეთ ომი საქართველოსთან, დაიცავით სამშვიდობო ხელშეკრულება, რომელიც გვქონდა დადებული, ჩვენ მზათ ვართ ვილაპარაკოთ ახალი ხელშეკრულების შესახებო.

მე არ ვიცი, რატომ დასჭირდა ნ. ჟორდანიას იმისთანა ენით ლაპარაკი მოსკოვის მთავრობასთან. არ შეიძლება ხომ არ იცოდეს, რომ მოსკოვი ხმასაც არ გასცემს ამაზე, აქ არის, ალბად, რაღაც დიპლომატიური მოსაზრება. იქნება ამითი უნდა მოამზადოს ევროპის საზოგადოებრივი აზრი საქართველოს საკითხში ჩასარევად. აქედან გამოვა მხოლოდ ის, რომ ხალხში არ გამოილევა მოლოდინი. ნ. ჟორდანია ამაგრებს ნიადაგს ახალი თავმოტყუილებისათვის.

ამ დეპეშაში ნ. ჟორდანია თითქოს უბრუნდება პირველ ხაზს:—რუსეთი იყოს თავისთვის, თავისი ძალაუფლებით, საქართველო იყოს ცალკე და ჰყავდეს თავისი ნებით არჩეული ძალაუფლება აქ ის ვითომ საქართველოს საკითხს აყენებს რუსეთის საკითხზე დამოუკიდებლად.

არის მხოლოდ ერთი შესაძლებლობა ასე საკითხის გადაჭრის: ეს იქნება შესაძლებელი, თუ საქართველო ჩამოაგდებს თავის მიწა-წყალზე საბჭოთა ძალაუფლებას, მერე გაუმკლავდება ევროპის მმართველ წრეებს, რომლებიც მოინდომებენ ხიდათ გაიკეთონ ცალკე გამოყოფილი საქართველო, გავიდენ რუსეთზე, ჩამოაგდონ იქ ბოლშევიზმი, გაამეფონ მემარჯვენე ძალები და ისინი გაუხადონ ნამდვილ საფრთხეთ საქართველოს დამოუკიდებლობას, საქართველოს ფიზიკურ არსებობასაც.

ამისთანა სიმაგრე და გამკლავება საქართველოს შეუძლია უფრო სიცხიაწეულ ოცნებაში, ვიდრე სინამდვილეში. საქართველო ვერ მოერევა რუსეთს, ვერ ჩამოაგდებს საბჭოთა ძალაუფლებას და, რომ შეიძლოს კიდეც ამდენი, ის მერე ვერ გადაელობება ევროპის „მმართველ წრეებს“.

ბავშვიც კი მიხვდება, რომ ეხლა საქართველოს საკითხი არ გადაიჭრება ურუსეთოთ. „ევროპა“ იქნება კიდევ წაასისიანებს რუსეთის წინააღმდეგ საქართველოს, იმისთვის კი არა, რომ დარაჯათ დადგეს რუსეთის საზღვრებზე და უჭირისუფლო ქართველებს, ევროპას უფრო ის ენდომინება ამ წასისიანებით, რომ საქართველომ გამოიყენოს რუსეთის დასარღვევათ. ამ ხაზზეა „კომბინაციები“, გართულება და სხვა. ეს არის ბოლო ხანებში ერთადერთი „პერსპექტივა“ საქართველოს სოციალ-დემოკრატიის და ნ. ჟორდანიასი.

მარქსს და ენგელსს საშინლად სძულდათ რუსეთი. საძაგელიაო,—სწერდა ენგელსი ერთ წერილში, მაგრამ იმასაც ამბობდა იმავე წერილში, რომ აღმოსავლეთში რუსეთი პროგრესიულ როლს ითამაშებს, წინსვლის საქმეს გააკეთებსო.

საბჭოთა რუსეთის დარღვევა ევროპის „მმართველ წრეებს“ გზას გაუტკეპნის აღმოსავლეთზე, ევროპის კაპიტალისთვის მაშინ უფრო ადვილი საქმე იქნება აღმოსავლეთის ხალხების დამორჩილება. რუსეთი რომ ეკონომიურათ მძლავრი, ბურჟუაზიული სახელმწიფო იყოს, თითონაც ეცდება კოლონიად გაიხადოს აღმოსავლეთის ჩამორჩენილი ქვეყნები. დღევანდელი რუსეთისთვის ადვილი გამოსადეგია პოლიტიკურად უდგეს გვერდში ჩინეთის, ინდოეთის მშრომელ ხალხს იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ.

ამნაირათ საქართველოს რგოლივით ებმება რეაქციის ჯაჭვი, როცა რუსეთის დარღვევით სცდილობს თავის დამოუკიდებლობის „აღდგენას და განმტკიცებას“. რეაქცია იქნება ის, რომ ბოლშევიკების მემკვიდრეები რუსეთში ვერ შეუწყობენ ხელს სამრეწველო კაპიტალის განვითარებას, საწარმოო ძალების ზრდას. ყოველნაირ რეაქციაზე უარესი იქნება ის, რომ გამევებული მემარჯვენე ძალები ვერ აიცდენენ შურისძიების პოლიტიკას, გულის ჯავრს ამოიყრიან ყველაზე, შურისძიება დაიწყება კლასობრივ, ეროვნულ ნიადაგზე. ვინ იტყვის, რომ ეკონომიურ და კულტურულ აღორძინებას ხეირიანი საზრდო მიეცემა ამისთანა პირობებში? რეაქცია გამოვა ისიც, რომ აღმოსავლეთის ჩამორჩენილი ხალხები დაუმარტოვდებიან იმპერიალისტურ ევროპას.

ერთი სიტყვით, მეორე ხაზი იმ „ეროვნული“ ბრძოლის, რომელსაც ეწევა საქართველოს სოციალ-დემოკრატია, მიდის იქითკენ, სადაც არავითარი პერსპექტივა არ ეხსნება ეროვნულ დამოუკიდებლობას.

ერთი მაგალითი დღევანდელი საერთაშორისო მდგომარეობიდან: ინგლისში რამოდენიმე თვეს იყო მუშათა პარტიის მთავრობა. ამ მთავრობამ გადადგა პროგრესიული ნაბიჯები საგარეო პოლიტიკაში. ის მომარე იყო, სხვათა შორის, რუსეთთან სწორი ურთიერთობის. ინგლის-რუსეთის ხელშეკრულებას დიდი მნიშვნელობა აქვს ევროპის ეკონომიური გაჯანსაღებისათვის. მუშათა პარტიის მთავრობა ეწინააღმდეგებოდა ყოველივე იმას, რაც გართულებას შექმნიდა რუსეთის გარშემო. გართულების იდეოლოგები არიან კონსერვატორები კერზონის მეთაურობით კერზონი სხვა ენით ელაპარაკებოდა ხოლმე რუსეთს ვინ იცის, იქნება კერზონის ხელში გადავიდეს აწი ინგლისის მართვა-გამგეობა. შეიძლება ომიანობის ვუნებაზედაც დადგეს ის რუსეთთან. საქართველოსთვის ამას, რასაკვირველია, ხელსაყრელათ მიიჩნევენ ისინი, ვინც უცდიან გართულებებს და შეჯახებებს. ესენი ენათესავებიან კერზონს და ეუცხოვებიან მაკდონალდს, ინგლისის მუშათა კლასს. ნ. ჟორდანია და მისი მიმდევარი სოციალ-დემოკრატია გამოდის მაკდონალდის წინააღმდეგ და გვერდში უდგება კერზონს. ასე ხდება ობიექტიურათ. მისი „ეროვნული“ ბრძოლა ერთვის რეაქციის წყალვარდნილს.

რატომ მოუვიდა ეს საქართველოს სოციალ-დემოკრატიას, რომელსაც არ სწამდა წინეთ ეროვნული განკერძოება (национальная исключительность), რომელიც ყველაზე უფრო ინტერნაციონალური იყო თავის თანამოძმე პარტიებში? ამაზე მდიდარ პასუხს ვიპოვნით ლენინის ნაწერებში ეროვნული საკითხის გარშემო.

ნაძალადევში მუშების კრებაზე მე გავიხსენე 1921 წლის დასაწყისი. მე ვსთქვი,—კიდევ, რომ გაგრძელებულიყო ისეთი ეკონომიური მდგომარეობა, როგორიც იყო, მაგალითად, 1920 წელს, საქართველოში მოხდებოდა ერთ ხანს იქით გადატრიალება. ამ შემთხვევაში ადგილი აღარ ექნებოდა გულის ჯავრს, ეროვნული შელახვის გრძნობას. ამიტომ გადიღუნა საქართველოს სოციალ-დემოკრატია ვიწრო ნაციონალიზმისაკენ, ამიტომ დაჰკარგა პერსპექტივები ისე, რომ ველარ არჩევს რეაქციის გზას რევოლიუციის გზისგან. ამ გაურჩევლობის ნიადაგზე კი, რა თქმა უნდა, უშნო ავანტიურათ გადაიქცევა მშვენიერი თავგანწირვაც.*) ამისთანა „ეროვნულ“ ბრძოლის ნიადაგზე ქართველ ერს დაეკარგება ნდობა სხვა ერებში. ლენინი სწერდა—ყველაფერზე უარესია ეროვნული უნდობლობაო.

ს. დევდარიანი.

ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობა

ამხ. ჩიჩერინის მოხსენება საკავშირო ცაკის სესიაზე

საბჭოთა კავშირის შინაგანი სიძლიერე.—მსოფლიო მეურნეობის დანაკლისი.—რა იწვევს კაპიტალისტების სისინს.—მსოფლიო იმპერიალიზმის ერთიანი ფრონტი.—საერთაშორისო მტაცებლობის ახალი ვეგმა.—ძირს მტაცებლების ლიგა!—იტალიის დამოუკიდებელი პოლიტიკა.—ინგლის-საბჭოთა ხელშეკრულების მნიშვნელობა.—ახალი კრიზისების წინ.—ჩვენ განვამტკიცეთ მეგობრული ურთიერთობა აღმოსავლეთთან.

მოსკოვი, 20 ოქტომბერი. 18 ოქტომბერს ცაკის სესიის სხდომაზე ამხ. ჩიჩერინმა გააკეთა მოხსენება საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ. მოხსენებამ მიიზიდა აურაცხელი სტუმრები და უცხოეთის დიპლომატიური კორპუსი თითქმის მთელი შემადგენლობით. მოხსენების განსაკუთრებული მნიშვნელობის და საერთაშორისო პოლიტიკის საკითხებისადმი ცაკის წევრთა მხრივ დიდი ინტერესის გამო, სესია ადგენს მოისმინოს მოხსენება ეროვნულ და საკავშირო საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე.

საბჭ. კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა განმტკიცდა.

შარშანდელი წლის ზაფხულზე ამბობს ჩიჩერინი, ჩვენ საერთაშორისო მდგომარეობაში აღსანიშნავია კერზონის ულტიმატუმი და პუანკარეს აგრესიული პოლიტიკა. ამის შემდეგ საბჭოთა მთავრობის საერთაშორისო მდგომარეობა შეიცვალა. საბჭ. კავშირის საერთაშორისო მდგომარეობის შეცვლა დაიწყო იტალიის მთავრობასთან სავაჭრო მოლაპარაკების შემდეგ, ამასთანავე საბჭოთა კავშირის ცნობა იტალიის და ინგლისის მიერ მოხდა თითქმის ერთსა და იმავე დროს. დიდი ხნის შემდეგ საბჭოთა კავშირი იცნო ნორვეგიამ, შემდეგ შვეციამ, დანიამ, ავსტრიამ, საბერძნეთმა, ალბანეთმა, მექსიკამ და ჩინეთმა. შორს აღარ არის ნორმალურ ურთიერთობის განახლება საფრანგეთთან. ამასთანავე ჩვენ თანახმა ვართ ნორმალურ ურთიერთობის [illegible], ყოველ პირობების გარეშე [illegible] ელჩების გაცვლა-გამოცვლით და ეს [illegible] უნდა გავრცელდეს კავშირის მთელ ტერიტორიაზე. ჩვენი ცნობა მთელ რიგ სახელმწიფოების მიერ აშკარა მაჩვენებელია იმისა, რომ საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა განმტკიცდა.

[illegible] საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ჩვენი საერთაშორისო პოლიტიკის ამ აქტივს უნდა დაუპირდაპიროთ პასივი: ინგლისის მუშათა პარტიის მთავრობის დაცემა, რომელიც გამოწვეულია ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებით და ამასწინად დაწყებული მსოფლიო იმპერიალიზმის შემოტევა. ბურჟუაზიულ მთავრობების ერთიანი ფრონტი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, რომელიც შეიქნა უკანასკნელ ხანებში იმპერიალისტურ რეაქციონულ ტენდენციების გაძლიერების გამო, გამოიხატა საქართველოში მომხდარ უშედეგო გამოსვლებში, რომელიც ხელოვნურად მოაწყვეს დასავლეთის პოლიტიკურმა და ეკონომიურმა წრეებმა.

ჩვენი შინაური სიმტკიცე.

საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობის მთავარ ფაქტორად ითვლება ყველასათვის უდავო შინაური სიმტკიცე, მისი ფინანსიური სტაბილიზაცია და სამეურნეო გამარჯვებანი. საბჭოთა კავშირის გამოთიშვა მსოფლიო მეურნეობიდან მეტის მეტად საგრძნობი ხდება და მთელი პოლიტიკური მსოფლიოს ამრევ-დამრევი კონფლიქტები აიძულებენ მათში მონაწილეებს თავის მხარეზე მიიზიდონ საბჭოთა კავშირი. ამავე დროს, განსაკუთრებით საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მნიშვნელობის ზრდის დროს, მისი უარყოფითი გავლენა კაპიტალისტურ მთავრობებზე და საერთაშორისო კომბინაციებზე თანდათან საგრძნობი ხდება და იწვევს იმას, რომ კაპიტალისტური მთავრობები მტრულად უცქერიან საბჭოთა კავშირს.

მშრომელი მასსების აქტივობა იზრდება კაპიტალისტურ ქვეყნებში. კოლონიები იღვიძებენ.

ჩვენი საერთაშორისო ურთიერთობათა მეორე ფრიად მნიშვნელოვან და სასურველ ფაქტორად უნდა ჩაითვალოს მასების აქტივობის ზრდა და საზოგადოებრივ ზედაფენების წინააღმდეგობის შესუსტება, რამაც მთელ რიგ ქვეყნებში გამოიწვია მემარცხენე პარტიების მთავრობების შედგენა და აგრეთვე კოლონიალურ და ნახევრად კოლონიალურ ხალხთა გაძლიერება და მათი თანდათანი წარმატება პოლიტიკურ და ეკონომიურ განთავისუფლების გზაზე. საბჭოთა მთავრობის მჭიდრო კავშირი აღმოსავლეთის ხალხებთან თანდათან ძლიერდება და მტკიცდება, რაც უფრო საგრძნობი ხდება იმპერიალისტური, ყაჩაღური ბუნება აღმოსავლეთის ხალხებში. მით უფრო მათ შორის ძლიერდება ლტოლვა საბჭოთა კავშირთან მჭიდრო კავშირისაკენ.

ინგლის-ამერიკის ბლოკი.

მსოფლიო პოლიტიკის ფრიად უარყოფით ფაქტორად ითვლება ინგლის-ამერიკის იმპერიალისტური ბლოკი, რომლის ზეგავლენა საგრძნობია მთელ მსოფლიოში.

დამოკიდებულება გერმანიასთან.

მნიშვნელოვნად შეიცვალა გასულ წლის განმავლობაში გერმანიის მდგომარეობა. დოუესის გეგმაში გათვალისწინებული საერთაშორისო კონტროლი გერმანიის სამეურნეო ცხოვრების მთავარ დარგებზე, ძალიან დიდ გავლენას მოახდენს მის საგარეო პოლიტიკაზე.

იმპერიალისტური სახელმწიფოები სცდილობენ შეუშალონ საბჭოთა კავშირსა და გერმანიის შორის არსებული საგარეო ეკონომიურ ურთიერთობის დამოუკიდებლობა, მაგრამ ამ მხრივ ისინი ვერასოდეს ვერ მიაღწევენ მცირეოდენ წარმატებასაც კი და ყოველგვარი მათი ცდა უკუგდებული იქნება ერთხელ და სამუდამოთ. საბჭოთა კავშირის და გერმანიის მეგობრული ურთიერთობა დამყარებულია იმაზე, რომ ამ ორივე სახელმწიფოს ესაჭიროებათ საურთიერთო ეკონომიური დახმარება და აგრეთვე იმ პოლიტიკურ ფაქტზე, რომ გაბატონებული იმპერიალისტური სახელმწიფოები წარმოადგენენ საფრთხეს როგორც საბჭოთა კავშირისა, ისე გერმანიისათვის.

საბჭოთა კავშირი და ერთა ლიგა.

[illegible] უკანასკნელ ხანებში გავრცელებული ხმები იმის შესახებ, თითქოს საბჭოთა მთავრობა მზადაა შევიდეს [illegible] ერთა ლიგაში [illegible] წარმოადგენს. ჩვენი მთავრობა აცხადებდა, რომ მას დასაშვებად მიაჩნია მონაწილეობის მიღება მსოფლიოს ყველა სახელმწიფოების კონგრესებზე სრული თანასწორობის საფუძველზე და თუ უარყოფილი იქნება ძალდატანებითი ღონისძიებათა პრინციპი. ის, რა თქმა უნდა, არ ეწინააღმდეგება ერთა ლიგაში მეთვალყურის გაგზავნას.

ურთიერთობა იტალიასთან

როგორც ერთა ლიგაში, ისე საერთო პოლიტიკაში ცოტაოდნად დამოუკიდებელ პოლიტიკურ ხაზს ატარებს უძლიერეს იმპერიალისტურ სახელმწიფოების მიმართ იტალია, რასაც ამტკიცებს იტალიის დიპლომატია, მაგალითათ ჩინეთში და ქაბულში. ძლიერი ეკონომიური ინტერესები აკავშირებს იტალიას საბჭოთა კავშირთან და აიძულებს ორივე მხარეს განაახლონ ეკონომიური ურთიერთობა. იტალია გაურბოდა დაემტკიცებინა ოქმი რუმინეთთან ბესარაბიის შეერთების შესახებ და, როდესაც გავრცელდა ხმები იმის შესახებ, რომ იტალიის მთავრობა მზადაა გადასდგას ასეთი ნაბიჯი, გამოქვეყნებული იქნა ამ ცნობების ოფიციალური გაბათილება.

მეგობრულ დამოკიდებულებას ოსმალეთთან ვერ დაარღვევენ.

მეორეს მხრივ ხმები იმის შესახებ, რომ თითქოს საბჭოთა კავშირსა და იტალიის შორის მიღწეულია შეთანხმება ოსმალეთის წინააღმდეგ, წარმოადგენს სიცრუეს და ბოროტ ცილისწამებას, ვინაიდან ჩვენი დამოკიდებულება ოსმალეთისადმი, ისე, როგორც აღმოსავლეთის სხვა ხალხებისადმი დამყარებულია ისეთ პრინციპებზე, რომელიც სავსებით ეწინააღმდეგება ყოველგვარ კოალიციას მათ წინააღმდეგ.

ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულება.

ეხება რა საბჭოთა კავშირის და ინგლისის ურთიერთობას, ჩიჩერინი ამბობს:

„საარჩევნო კამპანიის დროს ინგლისის ხალხის ფართო მასებში ყოველ განცხადებას საბჭოთა კავშირის ცნობის და მასთან ხელშეკრულების დადების შესახებ, უდიდესი ენტუზიაზმით ხვდებოდნენ. დღეს საარჩევნო კამპანიის ცენტრალურ საკითხზე ეჭვს გარეშეა, ის ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულება იქნება. ხელშეკრულება რომ ცხოვრებაში გატარებულიყო, ჩვენ მიერ სესხის მიღებას ექნებოდა უდიდესი მნიშვნელობა არა მარტო ჩვენი არამედ ინგლისის მეურნეობისათვის. ჩვენ არა მარტო სესხის უდიდეს ნაწილს მოვახმარდით შეკვეთას ინგლისში, არამედ მომავალშიაც ინგლისში დავუკვეთავდით მანქანებს.

სამეურნეო და საერთო პოლიტიკურ მნიშვნელობის შემდეგ მომენტებს განსაკუთრებით უნდა გაესვას ხაზი ხელშეკრულებაში: მიღებულ სესხის წყალობით ჩვენი ეკონომიური ცხოვრების გაცხოველება, ამ ფაქტის გავლენა სხვა ქვეყნებზე, ინგლისის ბაზრის უზრუნველყოფა ჩვენი ნედლი მასალით, ჩრდილოეთის ტერიტორიალურ წყლებში 3 მილიან ზონის გამო შეხლა-შემოხლის თავიდან აცილება, ჩვენი კრედიტის განმტკიცება ინგლისის ფულის ბაზარზე, აღმოსავლეთში შეხლა-შემოხლის თავიდან აცილების შესაძლებლობა, საერთაშორისო მშვიდობიანობის განმტკიცება და საერთაშორისო პოლიტიკის მთელ რიგ მტკივნეულ საკითხების გადაჭრა.

ხელისუფლების სათავეში კონსერვატორების დაბრუნება შინაურ პოლიტიკურ ბრძოლის გამწვავების პირობებში, უეჭველად გამოიწვევს ინგლისის პოლიტიკის აგრესიულობის გაძლიერებას. ამგვარად, ინგლისის კრიზისი გამოიწვევს მთელ რიგ კრიზისებს მსოფლიო მასშტაბით და ახალ გართულებას ჩვენი რესპუბლიკისათვის.

დასავლეთით მოსაზღვრე სახელმწიფოები.

საერთოთ, დამოკიდებულება ქვეყნებთან მოგვარებულია. რაც შეეხება

---

*) ჩვენ არ ვეთანხმებით ავტორის ზოგ დებულებებს. რედ.

ჩვენს უახლოეს მეზობლებს დასავლეთში, ისინი ყოველთვის წარმოადგენდენ დასავლეთის დიპლომატიის ზეგავლენის ობიექტს, რომელი დიპლომატიაც მტრულ პოლიტიკას აწარმოებდა ჩვენს წინააღმდეგ. ჩვენ ვიცით, რომ დასავლეთის წარმომადგენლები დახმარებას უწევდენ პოლონეთის და ბალტიის სახელმწიფოების საგარანტიო კავშირის შექმნის გეგმას. ვიმედოვნებთ, რომ ბალტიის სახელმწიფოები გაიგებენ, რომ მათ ინტერესს არ შეადგენს დასავლეთ სახელმწიფოების წრეში შესვლა და ჩვენ გარშემორტყმის გეგმაში მონაწილეობის მიღება. ჩვენ ვიცით, რომ ბალტიის სახელმწიფოების ყველაზე უფრო შორს მჭვრეტელი პოლიტიკოსები სამართლიანად სთვლიან საშიშრად ასეთ თამაშს.

განმათავისუფლებელი მოძრაობა აღმოსავლეთში

მთელი აღმოსავლეთი წარმოადგენს ამჟამად აღმოსავლეთის ხალხთა განმტკიცებას და ჩქარი განვითარების სურათს და მებრძოლი იმპერიალიზმი ტყუილ-უბრალოთ სცდილობს აღადგინოს მასზე თავისი ძალა-უფლება. აღმოსავლეთის განახლება ჩქარი ნაბიჯით მიდის წინ, ამასთანავე უდიდესი სიმპატია და მჭიდრო მეგობრობა აკავშირებს საბჭოთა კავშირს იმპერიალიზმის წინააღმდეგ მებრძოლ ხალხებთან.

განახლებული ოსმალეთი იძულებულია განაგრძოს ბრძოლა იმპერიალისტურ სახელმწიფოების წინააღმდეგ. სპარსეთში იმპერიალიზმის აგენტები განუწყვეტლივ აჯანყებენ პირველ ყოფილ ტომებს სახელმწიფოს ცენტრის წინააღმდეგ. და ამგვარად სცდილობენ ჩაშალონ სპარსეთის განახლების საქმე. ანალოგიურ სურათს ვხედავთ ავღანისტანშიაც.

შეთანხმება ჩინეთთან.

უდიდეს ისტორიულ აქტს წარმოადგენს ჩვენი შეთანხმება ჩინეთთან. უმთავრეს ძალას, რომელიც ამარცხებს უცხოეთის დიპლომატების ყოველგვარ ცდას, შეადგენს ჩინეთის ხალხის ეროვნული განმათავისუფლებელი შეუჩერებელი მოძრაობა. ჩინეთის ხალხი თავის ერთგულ და გულწრფელ მეგობრად სთვლის საბჭოთა კავშირს, ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობა მოხდა ამჟამად საერთაშორისო პოლიტიკის უდიდეს ფაქტორათ.

იაპონიაც შეგვითანხმდება.

ვიმედოვნებთ, რომ შორს აღარ არის შეთანხმება აგრეთვე იაპონიასთანაც. ერთად-ერთ გამთიშველ საკითხად ითვლება დავის მოწესრიგება იმის შესახებ, რამდენ ნავთს და ნახშირს მიიღებს იაპონია ჩრდილოეთ სახალინზე მისი ევაკუაციის შემდეგ. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ იაპონიის მთავრობა გაიგებს საბჭოთა კავშირთან შეთანხმების უდიდეს მნიშვნელობას და შეიგნებს, რომ საბჭოთა კავშირისათვის შეუძლებელია უარის თქმა ჩრდილოეთ სახალინის ბუნებრივ სიმდიდრეებზე.

ჩვენ წინ მივდივართ.

აღმოსავლეთში, კიდევ უფრო მეტზე, ვიდრე დასავლეთში, ჩვენი საერთაშორისო ურთიერთობათა დღევანდელ პერიოდს ახასიათებს ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობის განმტკიცება. ყოველდღიურ მძიმე მუშაობაში და ბრძოლით ჩვენ ვლახავთ დაბრკოლებებს და ყველაფერ ამის შემდეგ შეგვიძლია აღვნიშნოთ: „ჩვენ მივდივართ წინ“.

ჩვენ და უცხოეთი

საფრანგეთის ელჩად მოსკოვში განზრახულია ერბეტის დანიშვნა.—ემიგრანტები დაფრთხენ.

ჩქარა გვიცნობენ

პარიზი. 19 ოქტომბერი. თუ უკანასკნელ მომენტში რაიმე დაბრკოლება არ წარმოიშვა, საბჭოთა კავშირის ცნობა საფრანგეთის მიერ მოხდება ამ კვირის დასასრულს.

უსაფუძვლო ხმები

პარიზი. 19 ოქტომბერი. ზოგიერთი გაზეთების ცნობები, თითქოს დე-მონზი თავის მემორანდუმში მოითხოვდეს მსხვილ საერთაშორისო კომერციული საზოგადოების შექმნას საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობის რეორგანიზაციისათვის უოველგვარ ნიადაგს მოკლებულია. როგორც იქაური ავტორიტეტული წრეები აცხადებენ, ეს ხმები ყურადღების ღირსნი არ არიან.

ელჩის კანდიდატურა

პარიზი. 19 ოქტომბერი. „ლე ჟურნალ“ იუწყება, რომ დე-მონზიმ თითქოს მოითხოვა დაინიშნოს ელჩად მოსკოვში გაზეთ „ტან“-ის ყოფილი რედაქტორი ერბეტი, რომელიც ამჟამად თანამშრომლობს გაზ. „ენფორმასიონ“-ში.

პარიზი. 19 ოქტომბერი. ერბეტი გაზეთ „ენფორმასიონ“-ში სწერს, რომ საფრანგეთის ნოტა საბჭოთა კავშირის ცნობის შესახებ ნიადაგს მოუმზადებს დიპლომატიური ურთიერთობის დაუყოვნებლივ აღდგენას და შემდეგ კი მოლაპარაკების დაწყებას.

ემიგრანტების „ინტერესები“

პარიზი. 19 ოქტომბ. მაკლაკოვის თავმჯდომარეობით შესდგა ემიგრანტთა ორგანიზაციების თათბირი, რომლის მიზანია ემიგრანტთა ინტერესების დაცვა საფრანგეთის მიერ საბჭოთა კავშირის ცნობის შემდეგ.

ბოდიშს იხდიან

ვარშავა. 19 ოქტ. პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ დაუგზავნა გაზეთებს შემდეგი ცნობა:

„ვრცელდება ხმები, თითქოს ვინმე სიდოროვი გაძარცვეს და სცემეს საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლობაში. საბჭოთა კავშირის საქმეთა რწმუნებულმა ბესედოვსკიმ ოფიციალურად აცნობა პოლონეთის გარეშე საქმეთა სამინისტროს, რომ ეს ხმები ყალბია. სიდოროვისათვის არც უცემიათ და არც გაუძარცვავთ“.

შენიშვნა: ეს ცნობა შეეხება რეაქციონური კერძო პრესის იმ თავხედურ კამპანიას, რომელიც გავრცელდა „ოხრანკის“ აგენტის სიდოროვ—ჩერეპოვის სრულუფლებიან წარმომადგენლობის თანამშრომელ კრავჩენკოზე ხულიგნური თავდასხმის და პირველის დაპატიმრების გამო.

უკანასკნელი ცნობები

კამათი ამხ. ჩიჩერინის მოხსენების გარშემო

ამხ. მიხა ცხაკაიას სიტყვა

მოსკოვი. 20 ოქტ. ამიერ-კავკასიის ცაკის თავმჯდომარე ამხ. მიხა ცხაკაია ეხება საქართველოში აგვისტოს ბოლო რიცხვებში მომხდარ ამბებს და ამბობს, რომ ეს ავანტიურა მოაწყვეს საერთაშორისო მენშევიკებმა—მეორე ინტერნაციონალის გმირებმა და მათმა „ხაზეინებმა“—კაპიტალისტებმა. შეუძლებელია სერიოზულმა სახელმწიფო მოღვაწემ ჩასთვალოს ეს ორი-სამი დღის უდღეური ავანტიურა აჯანყებათ. ამ აჯანყებაში მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ ბანდიტებმა და ავანტიურისტებმა, რომლებიც თავის თავს მენშევიკებს უწოდებენ. ამ ბანდიტურ გამოსვლებს ამხ. ცხაკაია უპირისპირებს საქართველოს გლეხთა მასების ფართე მოძრაობას მემამულეების წინააღმდეგ.

როცა გლეხობამ დაინახა ძველის აღდგენის საფრთხე, ის, როგორც ერთი კაცი, აჯანყდა მემამულეების წინააღმდეგ. გლეხობას სურდა ფიზიკურათ მოესპო ძველი გაბატონებული წოდების ნაშთები და მთავრობას მოუხდა მთელი თავისი ყურადღების მიპყრობა გლეხობის დასაშოშმინებლად.

ამხ. ელიავას სიტყვა.

ამხ. ელიავა ეხება იმპერიალისტების მიერ აგვისტოს ბოლო რიცხვებში ამიერ-კავკასიის ხელში ჩაგდების ცდას და ამბობს: არავისათვის საიდუმლოებას არ შეადგენს, რომ დემოკრატიის დამოუკიდებლობის ლოზუნგები აქ ნიშნავენ ბაქოს ნავთისა და ჭიათურის შავი ქვის დამოუკიდებლობას პროლეტარიატისა და გლეხობისაგან და დამოკიდებულებას ევროპისა და ამერიკის იმპერიალისტებისაგან, ევროპიდან შუა აზიისაკენ მიმავალი გზების დამოუკიდებლობას მუშებისა და გლეხებისაგან და დამოკიდებულებას იმპერიალისტური ბურჟუაზიისაგან. ამ „დამოუკიდებლობისათვის“ მოაწყვეს ის ავანტიურა, რომელსაც ადგილი ჰქონდა საქართველოში. როცა ვარჩევთ ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებას, საჭიროა კატეგორიულათ მოვითხოვოთ ინგლისისაგან, რომ ამ სიმდიდრეებისაკენ გზების საკითხი სრულიად მოიხსნას. ჩვენ მოვითხოვთ, რომ საბჭოთა წარმომადგენლებმა კატეგორიულათ მოითხოვონ ინგლისისაგან ხელი აღება ჩვენს საქმეში ჩარევაზე და ანტი-საბჭოთა გამოსვლების ყველა ცდებზე. თუ ინგლისთან შეთანხმება უზრუნველყოფს ჩვენს დამოუკიდებლობას და გვიხსნის ინტერვენციისაგან, ჩვენ მას დავამტკიცებთ.

ამხ. ჩიჩერინის საბოლოო სიტყვა

ამხ. ჩიჩერინი საბოლოო სიტყვაში უპასუხებს ორატორებს და ათავებს თავის სიტყვებს: „ერთად-ერთ სადაო საკითხათ შეიძლება ჩაითვალოს ჩვენი დამოკიდებულება ინგლის-საბჭოთა ხელშეკრულებისადმი. ამ საკითხში არ არის ლაპარაკი ხელშეკრულების დაუყოვნებლივ დამტკიცებაზე სწორეთ იმიტომ, რომ ინგლისში მთავრობის კრიზისია, მაგრამ ჩვენ ხაზი უნდა გავუსვათ მთავარ მისწრაფებას: ჩვენ გვსურს ვითანამშრომლოთ ინგლისის მუშათა კლასთან, რათა ამასთან ერთად მოვაგვაროთ დამოკიდებულება საბჭოთა კავშირსა და ინგლისს შორის.

რეზოლიუცია

ამხ. ჩიჩერინის სიტყვის შემდეგ ამ. სავოსტინს ცაკის წევრების ჯგუფის სახელით შემოაქვს შემდეგი რეზოლიუცია, ერთხმად მიღებული საკავშირო საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს მიერ:

„საკავშირო ცაკის სესია, მოისმინა რა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარის ამხ. ჩიჩერინის მოხსენება საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის შესახებ, იწონებს მის მოქმედებას, რომელიც მიზნათ ისახავს მშვიდობიანობის დაცვას, საერთაშორისო მდგომარეობის განმტკიცებას, კერძოთ კი ნორმალური დამოკიდებულების შექმნას დასავლეთისა და აღმოსავლეთის სახელმწიფოებთან. საკავშირო ცაკი მოელის იაპონიასთან მოლაპარაკების წარმატებით დამთავრებას, საფრანგეთთან დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენას საბჭოთა კავშირის ყოველგვარი პირობების გარეშე ცნობის ნიადაგზე. იწონებს რა საგარეო კომისარიატის ლონდონში საბჭოთა დელეგაციის მოქმედებას, ცაკი ავალებს საგარეო კომისარიატს მომავალში იხელმძღვანელოს იმით, რომ ხელშეკრულებაში აღნიშნულია დათმობის მაქსიმუმი. ამ დათმობაზე საბჭოთა მთავრობა წავიდა იმიტომ, რომ საქმე ჰქონდა მთავრობასთან, რომელსაც კავშირი აქვს მუშათა კლასთან. ინგლისში მთავრობის კრიზისის გამო ცაკი ადგენს: გადასდოს საკითხი ინგლის-საბჭოთა ხელშეკრულების დამტკიცების შესახებ და გადაეცეს ის საკავშირო ცაკის პრეზიდიუმს“.

გერმანიაში მთავრობას „დაამშვენებენ“

განახლდა მოლაპარაკება ნაციონალისტებთან

ბერლინი. 19 ოქტ. რეიხსკანცლერმა მარქსმა განაახლა მოლაპარაკება ნაციონალისტებთან კაბინეტის გაფართოების შესახებ.

ბერლინი 19 ოქტ. ნაციონალისტების წარმომადგენლებმა, რომლებიც მოლაპარაკებას აწარმოებდენ კანცლერთან, უარი სთქვეს მთავრობაში თავიანთი კანდიდატების დაუყოვნებლივ დასახელებაზე. როგორც სჩანს, თვით კანცლერის და აგრეთვე შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტს შესთავაზებენ გესლერს, სასურსათო მინისტრის თანამდებობა—შილეს, გზათა მინისტრის—ლავრენცს, სახალხო მეურნეობის და სამთო-მადნო მრეწველობის—ლეოპოლდს. პირველმა სამმა ზემოდ დასახელებულმა ხმა მისცა დოუესის გეგმასთან დაკავშირებულ კანონპროექტების მიღების წინააღმდეგ.

საკავშირო ცაკის სესია

კამათი ამხ. ჩიჩერინის მოხსენების გარშემო

მოსკოვი. 20 ოქტ. გერმანელთა კომუნის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე კურცი საჭიროთ სთვლის, რომ მიმდინარე სესიაზე მიღებული არ იქნეს გადაწყვეტილებები ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის შესახებ და მოითხოვს, რომ დავიცადოთ, რადგან „ჩვენი მთავრობა უფრო მაგრათ ზის თავის სავარძელში, ვიდრე ისეთ განათლებულ და ეკონომიურათ ძლიერ სახელმწიფოების მთავრობები, როგორიც არის ინგლისი“.

რიაზანის გუბერნიის უპარტიო გლეხმა ფომინმა აღნიშნა ის დიდი ინტერესი, რომელსაც იჩენენ გლეხობის ფართე მასები საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის საკითხებისადმი და განაცხადა: „მე დავალებული მაქვს გადმოგცეთ, რომ გლეხობა ერთხმათ ამბობს:—ამხანაგო ჩიჩერინო, არ დაუთმოთ არც ერთი გროში, არც ერთი გახვრეტილი გროში“.

აღნიშნავს რა იმ დიდ შედეგებს, რომლებსაც მიაღწია მთავრობამ საბჭოთა კავშირისა და შორეულ აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის მეგობრული ურთიერთობის დამყარების საქმეში რიაზანოვს შეცდომათ მიაჩნია, რომ საბჭოთა მთავრობამ მოლაპარაკება დაიწყო ინგლისის მთავრობასთან იმ იმედით, რომ მისგან სესხს მიიღებდა. რიაზანოვი იზიარებს წინა ორატორების შეხედულებას რომ ჯერჯერობით დამტკიცებული არ უნდა იქნეს ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულება.

ამხ. ლარინი რიაზანოვის კრიტიკის შესახებ ამბობს შემდეგს: „არ შეიძლება დიდი პოლიტიკის წარმოება, თუ არა გაქვს შემოქმედებითი სახელმწიფო ფანტაზია. ჩვენ უნდა გვქონდეს გამბედაობა სიმართლე უთხრათ ჩვენს ხალხს: მართალია ხელშეკრულება მაინცდამაინც სასარგებლო არ არის, მაგრამ არ შეიძლება ყველა უსარგებლო ანდა ცოტათი სასარგებლო ხელშეკრულებების უარყოფა“. ლარინის აზრით, ცაკმა უნდა მიანდოს პრეზიდიუმს დაამტკიცოს ხელშეკრულება, თუ ინგლისის არჩევნებში უმრავლესობას მიიღებენ ხელშეკრულების მომხრეები.

უკრაინის იუსტიციის სახალხო კომისარი სკრიპნიკი უპასუხებს კურცს და ფომინს და ამბობს, რომ „გლეხები იმ მანდატს, რომელზედაც აქ ლაპარაკობდა ფომინი, ჩიჩერინს არ მისცემენ. ჩვენ უნდა ვიყოთ ფხიზელი პოლიტიკოსები და ხელშეკრულებების დადების დროს ჩვენ უნდა გვამოძრავებდეს ანგარიში, და არა მარტო გრძნობა და აღელვება იმის გამო, რომ ჩვენგან უნდათ რაღაცის წაღება.

ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულება საშუალებას გვაძლევს განვამტკიცოთ გახეტკეცებული ურთიერთობა საბჭოთა კავშირსა და ინგლისს შორის და გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის ხაზი ამ საკითხში ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ“.

საგარეო საქმეთა სახალხო კომისარის მოადგილე ამხ. ლიტვინოვი აღნიშნავს, რომ დასავლეთის ბურჟუაზიის პრეტენზიებს ჩვენ, ჩვენის მხრივ, დაუპირდაპირეთ ჩვენი კონტრ-პრეტენზიები ინტერვენციით მიყენებულ ზარალის შესახებ და ვერავითარ შეთანხმებას ვერ მიეაღწიეთ. ბოლოს, გენუაში ჩვენ განვაცხადეთ, რომ თანახმა ვართ კონტრ-პრეტენზიების საკითხი მოვხსნათ დროებით, იმ პირობით, თუ ბურჟუაზია თანახმა იქნება ჩვენთვის ინტერვენციით მიყენებული ზარალი გამოასწოროს ჩვენთვის სესხისა და კრედიტების მოცემის საშუალებით. ეხლა, რამდენათაც მაკდონალდი დათმობაზე წავიდა ამ ყველაზე უფრო მნიშვნელოვან საკითხში, რომლის შესახებაც ჩვენ ორი წლის განმავლობაში მოლაპარაკებას ვაწარმოებდით ინგლისის სხვა მთავრობებთან, აშკარაა, რომ ჩვენ უნდა დავთანხმებულიყავით იმ საკითხზე, რომელიც აინტერესებს ინგლისის ბურჟუაზიას, რომლის სურვილსაც ამ შემთხვევაში ასრულებს მაკდონალდი: „ჩვენ დავთანხმდით, იმ შემთხვევაში, თუ უზრუნველყოფილი იქნებოდა სესხი ჩვენთვის ხელსაყრელ პირობებში, გვეცნო პრეტენზიების ერთი ნაწილი. კონსერვატორები და ლიბერალები კიცხავენ მაკდონალდს იმის გამო, რომ მან სწორათ სცნო სახალხო უფლების თვალსაზრისით დეკრეტები მრეწველობის ნაციონალიზაციისა, საგარეო ვაჭრობის მონოპოლიისა და სხვა საკითხების შესახებ, და სწორეთ ამისთვის იყო, რომ ის ჩამოაგდ

ჩვენ ვფიქრობთ, რომ გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატი და ჩვენი დელეგაცია ლონდონში სწორათ მოიქცნენ, როდესაც მათ ხელი მოაწერეს წინასწარ ხელშეკრულებას, რომელსაც შეუძლია შექმნას ნიადაგი საერთო-პოლიტიკურ შეთანხმებისათვის. ჩვენს წინაშე დასმულია საკითხი არა ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ, არამედ იმისი, რომ ცაკის სესიამ აღიაროს, რომ ინგლის-საბჭოთა ხელშეკრულების დადების დროს ჩვენ სწორათ მოვიქეცით.

კამათი ჩიჩერინის მოხსენების შესახებ და მომხსენებლის საბოლოო სიტყვა გადაიდო კვირის სხდომისათვის.

მოსკოვი, 20 ოქტ. ცაკის 19 ოქტომბრის სხდომაზე დამთავრდა კამათი გარეშე საქმეთა სახალხო კომისარის მოხსენების შესახებ. ორატორთა უმრავლესობა ეხებოდა ინგლის-საბჭოთა ხელშეკრულებას.

მეთნიკოვმა მურმანის საგუბერნიო აღმასკომის სახელით მოითხოვა, რომ ხელშეკრულებაში შეტანილი ყოფილიყო ისეთი მუხლები, რომლებიც უზრუნველყოფენ თევზის სარეწაოების განვითარებას მურმანის გუბერნიაში და თეთრი ზღვის ნაპირებზე.

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ელიავამ წინადადება შეიტანა, რომ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის დროს მიღებული იქნეს მხედველობაში საქართველოს საკითხი და ჩვენმა დელეგაციამ მოსთხოვოს ინგლისს, რომ მან დახმარება არ გაუწიოს ანტი-საბჭოთა გამოსვლებს საქართველოში.

სამურსკი (დაღესტანი) ამბობდა, რომ საჭიროა მოვითხოვოთ საბჭოთა კავშირისათვის ინტერვენციით მიყენებული ზარალის ანაზღაურება, ამასთანავე ხელშეკრულების შესრულების გარანტიის სახით, საჭიროა მივაღწიოთ რომ ხელშეკრულებას ხელი მოაწერონ ინგლისის პროფკავშირებმა.

გრიგოლ ვეშაპელის განცხადება



გრიგოლ ვეშაპელი

ეროვნულ-დემოკრატების ბელადი, რომელიც ამჟამად პარიზშია.

პარიზი. 19 ოქტომბერი. საქართველოს ყოფილი დამფუძნებელი კრების ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილემ გრიგოლ ვეშაპელმა „როსტას“ თანამშრომელთან საუბრის დროს განაცხადა:

„ჩემი თანამშრომლობა ჟორდანიას მთავრობასთან დამთავრდა 1924 წლის მაისში, როცა მოხდა დამფუძნებელ კრების პრეზიდიუმთან არსებულ ფრაქციათა გაერთიანებულ კომიტეტის ლიკვიდაცია, მაგრამ, როგორც პოლიტიკური [illegible] ვსთვლი [illegible] ვაცხადებთ, რომ აგვისტოს აჯანყება [illegible] ება მენშევიკებისა, ეროვნულ-დემოკრატებისა და სხვა პარტიების გაერთიანებულ ანტი-ბოლშევიკურ ბლოკს. ქართველი ხალხის ინტერესები მოითხოვენ ამ ორგანიზაციის სრულ ლიკვიდაციას. ქართველი ინტელიგენციისა და ქართველი ხალხის სხვა კლასების მოვალეობას შეადგენს—ითანამშრომლონ საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებასთან და ამგვარათ განამტკიცონ [illegible] და ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვარი პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული მიღწევები. ამიტომ ყველა ემიგრანტები აუცილებლათ უნდა დაბრუნდნენ საქართველოში. მე ვფიქრობ, რომ მომავალი ბედი საქართველოსი მჭიდროთ იქნება დაკავშირებული რუსეთის ბედთან.

საქართველოს დამოუკიდებლობის იურიდიულად ცნობა საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის მიერ ბევრად უფრო დიდმნიშვნელოვანია, ვიდრე წინანდელი ცნობა ანტანტის უმაღლეს საბჭოს მიერ“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი.

ხორცის დამზადების ოპერაციები.

მოსკოვი, 18 ოქტომბერი. ხორცის დამზადების ოპერაციების ხორცის გამყიდველ გლეხობასთან დაახლოვების მიზნით, შინა-ვაჭრობის კომისარიატმა წინადადება მისცა ხორცის დამამზადებელ ყველა ორგანიზაციებს გააფართოვონ შესყიდვის პუნქტების ქსელი და შეამცირონ მოთხოვნილება გასაყიდავ საქონელზე, რამდენათაც ამის საშუალებას იძლევა სამომხმარებლო ბაზარი.

შემოდგომის ნათესების მდგომარეობა.

მოსკოვი. 18 ოქტომბ. მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის მეტეოროლოგიურ განყოფილების ცნობით ოქტომბრის პირველ 10 დღის განმავლობაში შემოდგომის ნათესების მდგომარეობა საბჭოთა რუსეთში საერთოდ დამაკმაყოფილებელია.

შავნიადაგიან ოლქში ნათესები ზოგ ადგილას დაზიანებულია მავნეებისაგან.

სამუშაო ხელფასის მინიმუმი

მოსკოვი, 18 ოქტ. საბჭოთა კავშირის შრომის სახ. კომისარიატის მიერ დადგენილი ხელფასის მინიმუმი სექტემბერში უცვლელად რჩება ოქტომბრის თვეშიაც.

განმარტება სახ. მოსამართლეების შესახებ

მოსკოვი 18 ოქტ. იუსტიციის სახალხო კომისარიატი განმარტავს, რომ იმ მუშებს, რომელნიც მოწვეულ არიან სახ. მოსამართლეების მოვალეობის შესასრულებლად, ეძლევათ საშუალო ხელფასი იმ დაწესებულებისა და წარმოებისა, რომელშიაც იგინი მუშაობენ.

უკრაინა

59.700 საჩივარი

ხარკოვი. 18 ოქტ. ინტერვენციით მსხვერპლთა დამხმარე საზოგადოებაში შემოვიდა 59,700 საჩივარი. განხილულია 30.009 მათგანი, რომლის ჯამსაც შეადგენს 104 მილ. მან. [illegible] ალურიცხველი [illegible] ინტერვენციით მიყენებულ ზარალის შესახებ.

ხანძარი საავადმყოფოში.

კიევი. 18 ოქტ. 16 ოქტ. ღამით შევჩენკოს სახელობის საავადმყოფოში გაჩნდა ხანძარი. ცეცხლი ჩაქრობილ იქნა რამდენიმე ცეცხლმქრობელ რაზმის 12 საათის შეუწყვეტელ მუშაობის შემდეგ. დატუსაღებულია მრავალი თანამდებობის პირი, რომელთა დაუდევრობითაც გაჩნდა ხანძარი.

ყველაზე დიდი ტირაჟი.

ლენინგრადი. 18 ოქტ. ლენინგრადის სახ. გამომცემლობის ანგარიშით, მათ მიერ გამოცემული ზინოვიევის წიგნი „ისტორია რუსეთის კომ ტიისა“ გავრცელდა ყველაზე მეტი სახელდობრ 100.000 ცალი. ეს რაოდენობა გასაღდა სულ ორ თვეში.

წითელ დირექტორების ყრილობა

ხარკოვი. 18 ოქტ. დაიხურა ხარკოვის გუბერნიის წითელ დირექტორების ყრილობა. საჭიროთ ცნობილია წითელ დირექტორების სრულიად [illegible] ნების შექმნა. რეზოლიუციაში ყრილობამ აღნიშნა, რომ პა და მუშათა კლასის მიერ წამოყენებული ამოცანები შრომის ნაყოფიერების ასაწევათ არ შეიძლება გადაწყვეტილი იქნას მხოლოდ წითელ დირექტორების ძალებით. ამ საქმეში უნდა იქნან ჩაბმული მუშათა ფართო მასები, საფაბრიკო-საქარხნო და წარმოვო კომისიების საშუალ

საქართველოს შრომის სახალხო კომისარიატის უმახლობელესი ამოცანები

(საქართველოს პროფკავშირთა ყრილობისათვის)

I

საერთო მიმოხილვა.

შრომის სახალხო კომისარიატის ძირითად ამოცანად, როგორც გასულ პერიოდში იყო, მომავალშიც რჩება შრომის კანონმდებლობის არსებული საფუძვლის გატარება განმტკიცება. ამ კანონმდებლობის მიხედვით მიმდინარეობს შრომის პირობათა სახელმწიფოებრივი მოწესრიგება.

შრომის სახალხო კომისარიატს კანონით გათვალისწინებული ნორმების განხორციელების დროს დიდი დაბრკოლებები არ ეღობებოდა და თუ წინეთ ადგილი ჰქონდა კანონის გვერდის ახვევას, ამას თავისი გასამართლებელი მიზეზები ჰქონდა ობიექტიურ პირობებში, საბჭოთა მეურნეობის ჯერ კიდევ სუსტ მდგომარეობაში. შრომის სახალხო კომისარიატის მოქმედებაში არ სჩანს არავითარი განცალკევებული მუშაობა. ყველაფერი, რაც მის მიერ კეთდებოდა, შეთანხმებული იყო პროფესიონალურ კავშირებთან და ჩვენი მეურნეობის განვითარების ინტერესებთან.

შრომის სახკომის უმახლობელესი ამოცანების განხილვა დავიწყოთ საორგანიზაციო დარგიდან. ქ. თბილისის და მის მაზრის აღმასკომს საკუთარი მთლიანი შრომის ორგანო დღევანდლამდე არ ჰქონია, და ამ მუშაობას ასრულებდა თვით შრომის სახკომი ცენტრალურ აპარატის საშუალებით. ასეთივე წესი დარჩება მომავალშიც, მაგრამ შრომის სახალხო კომისარიატს არაფერი არ ექნება საწინააღმდეგო, თუ პროფკავშირთა ყრილობა მას დაავალებდა, რომ მან თბილისის და მის მაზრის ფარგლებში მუშაობის ანგარიში წარუდგინოს ხოლმე თბილისის საბჭოს და მის აღმასკომს. დღევანდლამდე არც პირველს და არც მეორეს არ მოუსმენიათ შრომის სახალხო კომისარიატის მოქმედების ანგარიში, როგორც შრომის ბირჟის მოწყობის და უმუშევრობასთან ბრძოლის საკითხის შესახებ, ისე თბილისის მუშათა შრომის დაცვის და სოციალური დაზღვევის დარგში და ეს იმ დროს, როდესაც ჩვენ ვიცით, რომ წარმოების მხრით ჩამორჩენილ ჩვენი რესპუბლიკის პროლეტარიატის უმეტესობა თავმოყრილია აქ.

ახლო მომავალში შრომის სახალხო კომისარიატი არ ფიქრობს შეიტანოს რაიმე ცვლილებები თავის ადგილობრივ ორგანოების წყობაში. ცდამ შრომის ინსპექტორების დაქვემდებარებისა შრომის სახალხო კომისარიატისთვის და მაზრის აღმასკომებისთვის უკანასკნელთან საერთო განყოფილებების საშუალებით, უარყოფითი შედეგები არ მოგვცა. როგორც ადგილების, ისე დამზღვევ ორგანოთა უკმაყოფილებას იწვევს დამზღვევ კასის თავმჯდომარის თანამდებობის შეფასება შრომის რწმუნებულის თანამდებობასთან. არ შეიძლება არ ვაღიაროთ: მიუხედავათ იმისა, რომ მუშაობა რაოდენობის მხრივ ცოტაა, მაგიერათ ეს მუშაობა იმდენათ რთულია, რომ დამზღვევ კასების თავმჯდომარეები ამ შემთხვევაში მართლაც გადატვირთულები არიან. მაგრამ ამასთანავე არ შეგვიძლია დავივიწყოთ ის, რომ რაც გინდა პატარა იყოს მაზრა, საბჭოთა აღმშენებლობის დროს მისი დატოვება შრომის დაცვის დარგში ზედამხედველობის გარეშე სრულიად დაუშვებელია. განსაკუთრებულ რწმუნებულის თანამდებობის შესანახავათ საჭირო თანხების საიდანმე მიღება ამჟამათ არ შეიძლება. შრომის დარგში მუშაობა კი უფრო ახლოს სდგას მაზრის ფარგლებში სოციალური დაზღვევის ხელმძღვანელებთან. ამ საკითხის შესახებ ვგონებ, რომ აუცილებლივ მოგვიხდება დავტოვოთ ძველი წესი.

შრომის დაცვა

საჭიროთ მიგვაჩნია შევაჩეროთ ყურადღება შრომის სახალხო კომისარიატის ერთს უმნიშვნელოვანეს ორგანოზე, შრომის დაცვის უფლებრივ ინსპექციაზე. ჩვენს საბჭოთა საზოგადობრივობას ჯერ საკმარისად ვერ შეუთვისებია რევოლიუციისაგან შექმნილი ამ ინსტიტუტის მნიშვნელობა და როლი. ამ მდგომარეობას შედეგათ მოსდევს შრომის ინსპექტორების ჩქარ-ჩქარი გამოცვლა და ხშირად შეუფერებელ პირთა არჩევა. ამას გარდა ხდება მათი გადატვირთვა სხვა არაპირდაპირი მუშაობით. ნამეტნავათ ეს შენიშნულია პროვინციაში.

ჩვენთვის საჭირონი არიან ისეთი ინსპექტორები, რომელთაც საკმარისი სტაჟი აქვთ პროფესიონალურ მუშაობაში და რომლებმაც თავი ისახელეს მუშათა მოძრაობაში. განსაკუთრებით მოვითხოვთ ჩვენ, რომ მიტოვებულ იქნეს ეგრედწოდებული ინსპექტორთა ხშირ-ხშირი გამოცვლა. მართლაც და ვერ მოასწრებს შრომის ინსპექტორი რაიონის გაცნობას, როდესაც მას ხსნიან და აგზავნიან სხვა სამუშაოზე. იანვარში მომხდარ ინსპექტორების გადარჩევის შედეგები გვაკმაყოფილებს, მაგრამ ვთხოულობთ, რომ შრომის სახალხო კომისარიატს მიეცეს საშუალება მოახდინოს არსებულ ინსპექციის მუშაობის კვალიფიკაცია. ამის საჭიროება მით უფრო არის ამ ჟამათ, როდესაც ინსპექციის ფუნქციები უფრო ფართოვდება და მუშაობა შრომის დაცვის დარგში და მშრომელთა უფლებრივ ნორმების დაცვის საქმე დღითი-დღე რთულდება.

შევნიშნავთ, რომ შრომის უფლებრივი პირობების სფეროში ძირითადი ნორმები, როგორც დასვენება, მორიგი შვებულებები ავადმყოფობის გამო, ბავშვის საკვებათ, მოზარდთა სამუშაო დრო და სხვა დამქირავებელთა უმეტესობის მიერ სრულდება, თუ არ მივიღებთ მხედველობაში განათლების, ჯანმრთელობის და ნაწილობრივათ მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატებს, რომლებიც ყველა თავის ორგანოებში და ყველგან არღვევენ შრომის კანონთა ძირითად მოთხოვნილებებს, საერთოდ კი ძირითადი უფლებრივი ნორმების მოთხოვნილებათა შესრულება გამოიხატება შემდეგ პროცენტებში: 1922 წ. 22 პროც., 1923 წ. 70,3 პროც., ხოლო 1924 წ. კი 78,3 პროც. რაც შეეხება ზედმეტ მუშაობის უკანონო გამოყენების საკითხს, ამ მხრივ შრომის სახალხო კომისარიატის ორგანოებს უმოწყალო ბრძოლის წარმოება უხდებათ. ამ მოვლენას ხშირი ადგილი აქვს სამკერვალო მუშაობაში და პოლიგრაფიულ წარმოებაში. ამ არასასურველ მოვლენასთან ბრძოლის გასაძლიერებლათ შრომის სახალხო კომისარიატს მოუხდა შეთანხმება მუშათა და გლეხთა ინსპექციასთან. უკანასკნელის მიერ გამოცემული დადგენილების თანახმად პასუხისგებაში ეძლევა ზედმეტ სამუშაობების შესახებ არსებულ დადგენილებათა ყველა დამრღვეველი. მაგრამ ჩვენც და მუშათა და გლეხთა ინსპექციაც სუსტი ვიქნებით ამ საქმის მოგვარებაში, თუ სათანადო დახმარებას არ აღმოგვიჩენენ პროფორგანიზაციის ძირითადი უჯრედები, ე. ი. ადგილკომები და ფაბქარხკომები.

თუ ყველგან შემოღებული იქნება რვა საათის სამუშაო დღე მოსამსახურეთათვის, რის საწინააღმდეგო ჩვენ არა გვაქვს-რა, ზედმეტი მუშაობის საჭიროება არ იქნება დაწესებულებაში. ყველა სახის ინსპექციამ როგორც უფლებრივმა, ისე სანიტარულმა და ტეხნიკურმა უნდა თავი გამოიჩინონ ახლო მომავალში შრომის დაცვის ახალი ხაზის გატარებაში. ახალი ხაზის ლოზუნგათ უნდა იყოს არა მავნებლობის კომპენსაცია, არამედ საწარმოვო პირობების ფაქტიური გაუმჯობესება. მართალია ამ სამ წელზე მეტის არსებობის დროს ინსპექციამ ბევრი რამ საგრძნობი გააკეთა შრომის დაცვის და წარმოებათა გაჯანსაღების დარგში, მაგრამ ყველა ამას არ ჰქონდა სისტემატიური ხასიათი და, თუ მართალს ვიტყვით, წარდგენილი მოთხოვნილებანი სავსებით არ შეეფარდებოდენ წარმოების სამეურნეო შეძლეობას. საანგარიშო წელში ჩვენ შევძელით გადავსულიყავით გეგმურ მუშაობაზე შრომის დაცვის სფეროში. შემდეგში ჩვენ გვმართებს ამ მუშაობის გაღრმავება იმ საჭირო და შესაძლებელ სანიტარულ-ტეხნიკურ ხასიათის ღონისძიებათა გატარებისათვის, რომელსაც წინასწარ გაფრთხილებითი ხასიათი ექნება არა ჯანსაღ პირობებში წარმოებულ მუშაობის მავნე შედეგებისათვის.

სანიტარულ-ტეხნიკურ ინსპექციის მოთხოვნილებათა შესრულება ისევე როგორც უფლებრივი ინსპექციისა—საკმაოთ დიდია. ასე მაგალითად: ტეხნიკურში ეს შესრულება უდრის—78,8 პროც. და სანიტარულში 80 პროცენტს. მაგრამ მაინც გვაქვს დიდი დეფექტები და თუ ჩვენ დღევანდლამდის ვსცდილობდით ყველა ამ დეფექტების და ამ მავნებლობის კომპენსაცია მოგვეხდინა სპეც-ტანისამოსის ნორმების გადიდებით, სპეც-კვებით, დამატებითი შვებულებით, მუშაო დღის შემოკლებით,—ჩვენ ამ საშუალებით წარმოების პირობებს კი არ ვაჯანსაღებდით, არამედ ზედნადებ ხარჯებს ვადიდებდით. ჩვენ ამგვარ კომპენსაციას თავი დავანებეთ. ეხლა უკვე გამომუშავებულია და შეთანხმებულია პროფკავშირებთან და სამეურნეო ორგანოებთან მაგარი სპეც-ნორმები და სხვა კომპენსაციები. ახლო მომავალისთვის ეს ის მინიმუმი იქნება, რომლის ატანაც შეუძლია ჩვენს სუსტ მეურნეობას.

ეს ნორმებიც და ყველა საჭირო ღონისძიებანი ჩვენ მიერ ტარდება და შემდეგშიაც გატარებული იქნება ყველგან, ხელშეკრულების დადების საშუალებით. სამეურნეო ორგანოებთან ხელშეკრულების დადების დროს საჭიროა მიღებულ იქნეს მხედველობაში წარმოების ინტერესი, მისი შეძლეობა. უნდა გვახსოვდეს ის, რომ ხელშეკრულება უზრუნველყოფილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მასში შეტანილია მუხლი, რომლითაც გათვალისწინებულია მისი დარღვევისათვის კომპენსაცია. უკანასკნელი გამოიხატება სოციალურ დაზღვევის დამსჯელი ტარიფის შემოღებაში და მავნებლობისათვის კომპენსაციის ნორმების მინიმუმის გადიდებაში.

ხელშეკრულების შესრულებას და შრომის პირობების საგრძნობლად გაუმჯობესებას კი უსათუოდ უნდა მოჰყვეს შედეგათ როგორც სოციალური დაზღვევის ანარიცხების, ისე სპეც-ნორმების შემცირება.

კურსი წარმოებათა პროცესის გაუმჯობესებისაკენ და მუშაობის პირობების გაჯანსაღებისაკენ ნაკარნახევია უბედურ შემთხვევების ზრდის გამო, რომელსაც ადგილი აქვს ჩვენს ჩამორჩენილ წარმოებამიც კი.

ტფილისის დამზღვევ კასის ცნობების მიხედვით, წარმოებასთან დაკავშირებული უბედური შემთხვევები შეადგენდენ:

	წევრზე	შემთხვევა
1921 წ. —	1000 —	2,5—76
22 წ. —	—	2,6—101
23 წ. —	—	4,9—158

მეტყავეთა შორის—6,9 მელითონეთა შორის—20,7, კომუნალურ მეურნეობაში 28, 6, ხოლო 1924 წლის პირველ ნახევრისათვის ამგვარი უბედური შემთხვევათა რაოდენობა უდრის 177. უბედურ შემთხვევათა აღრიცხვა ჩვენში მოიკოჭლებს. უმეტესი ნაწილი ამ შემთხვევებისა დამზღვევ კასაში აღნიშნულია ავადმყოფობის სახით, რის გამოც ნაჩვენებია პროცენტებით ასეთი პატარა რაოდენობა. ტფილისის ტრამვაიში 1923 წლის განმავლობაში 899 კაცზე ჩვენ გვაქვს 99 შემთხვევა ე. ი. 10 კაცში 1 დაშავებულია მუშაობის დროს წლის განმავლობაში. ეს უკვე დიდი პროცენტი არის. ასეთივე დიდია ეს პროცენტი მელითონეთა შორის. შრომის სახალხო კომისარიატი საკმარის ყურადღებას აქცევდა უბედურ შემთხვევებთან ბრძოლას და თუ გამოირკვეოდა ადმინისტრაციის დანაშაულობა, ჩვენ მას პასუხისგებაში ვაძლევდით. მიღებული იყო აგრეთვე ზომები მუშების კვალიფიკაციის ასაწევათ. მაგალითად, ტეხნიკური ინსპექციის მიერ მოწყობილ კურსებში 70 მსმენელიდან გამოცდები ჩააბარა და გამოშვებულ იქნენ ორთქლის ქვაბების ცეცხლფარეშებათ 40 მსმენელი, მაგრამ საჭიროა გაძლიერდეს დასახიჩრების მიზეზების შესწავლა და მასთან ბრძოლა.

გაძლიერებული უნდა იქნეს წინასწარი გაფრთხილება შრომის საშიშროების თავიდან ასაცილებლათ და მეტი ყურადღება მიექცეს მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესებას. რაც შეეხება ბავშვთა და ქალთა დაცვის ნორმებს—ისინი სავსებით ტარდებიან ცხოვრებაში. მოზარდთა სამუშაო დღის დარღვევა შედარებით ძლიერ ნაკლებია. მოზარდთა მიმაგრება ამა თუ იმ წარმოებასთან ტარდება, მაგრამ ამ საქმეს ემჩნევა მთელი რიგი ისეთი მომენტებისა, რომლებიც ეწინააღმდეგება ან მათ წარმოებაში ჩარიცხვას ან მათ მიერ კვალიფიკაციის მიღებას. ჩვენ გვყავნდა წარმოებაში 1923 წ. ჩაბმული 1892 მოზარდი. უკანასკნელი 1924 წლის განმავლობაში ეს რიცხვი შემცირდა და დავიდა 1695-დე, მათ შორის 1923 წელს კავშირის წევრები იყვნენ 1727. 1924 წელს დავიდა 1455-დე. წარმოებაში ამავე დროს იყო ჩაბმული 873, ხოლო 24 წელს—737. უმუშევართა რიცხვი მიმდინარე წლის პირველ ნახევრის ბოლოს უდრიდა 945.

მოზარდთა მიმაგრება ვერ აღწევს დადებით შედეგებს. მოზარდები ძირითად წარმოებებში კი არ ხვდებიან, არამედ მეორეხარისხოვან მაშველ წარმოებებში. თუ ჩვენ გვსურს გვყავნდეს ახალი შემადგენლობა კვალიფიციურ მუშებისა, თუ საჭიროა მიღებულ იქნეს ზომები მოზარდთა შორის უმუშევრობის შესამცირებლათ—უნდა მივიღოთ ასეთი ჩვენი წინადადება:

1) შემოკლებულ იქნეს სია იმ მავნე წარმოებათა, რომლებშიაც არ შეიძლება მოზარდთა დაშვება სამუშაოთ.

2) მიმაგრებულ რიცხვს ზევით შეყვანილ იქნეს წარმოებებში ისინი, რომლებიც იღებენ დახმარებას დამზღვევი კასებიდან იმ პირობით, რომ დამქირავებელი შემდეგში მისცემს მათ ფასიან სამუშაოს.

3) იმ შემთხვევაში, როდესაც მოზარდს სრულწლოვანობამდე აკლია ერთი წელიწადი და აბარებს გამოცდას კვალიფიკაციის გამოხარკვევათ,—აყვანილ იქნას სამუშაო დღე რვა საათამდე.

4) რადგანაც ხელოსანთა შორის თითქმის ისპობა შეგირდობა—შემოღებულ იქნეს შეღავათიანი გადასახადები იმათთვის, რომელთაც ორზე მეტი შეგირდი არ ჰყავთ.

რაც შეეხება ახალგაზრდა ნელთა კომუნისტური კავშირის ნაწილეობას შრომის დაცვის ბაში, მათ ყავდათ და შემდეგ ეყოლებათ შრომის სახალხო კო რიატში მოზარდთა შრომის ხებში მომუშავენი და ვფიქ განვამტკიცოთ და ვააფართ ასისტენტობის ეს ინსტიტუტი.

დედაკაცები საქართველოში რებით უკეთეს მდგომარეობაში ყოფებოდნენ. უმუშევრობა მათ რის ამ წელს 34,6 პროცენტ დაეცა 30,9 პროცენტამდე, დაქირავებულ შრომაში ჩაბმ რიცხვი 18,6-დან ავიდა 18,9 ცენტამდე. მაგრამ ქალთა უმუშევრობა ჯერ კიდევ ძლიერ ამიტომ უნდა იქნეს მიღებული ზომები ქალთა წარმოებებში ჩაბ ლათ:

1) ნებადართულ იქნეს ქალ მუშაობა ღამით იმ წარმო რომლებიც მავნებელნი არ არი ჯანმრთელობისათვის.

2) გადიდებული იქნეს სია იმ შაობათა, სადაც დასაშვებია მუშაობა.

3) აწეულ იქნეს ქალთა კვალიფიკაცია.

ჩვენ ეს არის ახლა დავიწყეთ შაობა სასოფლო-სამეურნეო შრომის დაცვის დარგში. დავა მიწა-ტყის დარგში მომუშავე ინ ტორის თანამდებობა. მუშავდება ციალური კანონები და ნორმები განოთა („ბატრაკები“) შრომის ცვის და სოციალური დაზღვევის სახებ. ჩატარებულია საცდელი ხილვა კახეთის და ბორჩალოს რის სახალხო მამულებისა. მიწა დარგში მომუშავეთა კავშირთან თანხმებით, ახლო მომავალში გავაძლიერებთ მუშაობას ამ სფეროში—ბოგანოთა შრომის რიგების დარგში.

გეგმიური და ინტენსიური ობა შრომის პირობების მავნე ბის მეცნიერულ და ლაბორატორ გამოკვლევათა დარგში დღე ლამდე არ ყოფილა.

შრომის სახალხო კომისარ და საქართველოს პროფკავ საბჭოს მიერ ამ საქმის მოსა ლათ დაარსებულია შრომის მ

მუშათა საერთაშორისო მოძრაობა

შეთანხმებლების ახალი ღალატი.—გაფიცულების დევნა.—მუშები ფაშისტური პროფკავშირების წინააღმდეგ.

ბელგია.

პარიზი, 19 ოქტ. შეთანხმებელ ბელადთა ღალატის გამო, ბორინაჟში გაფიცული სამთომადნო მუშები სასტიკად დამარცხდენ. მიუხედავად იმისა, რომ შერეულმა კომისიამ დაადგინა შემციროს სამუშაო ხელფასი 8 პროცენტით, ხელფასი შემცირებულია 20 პროცენტით. გაფიცულებს შორის ბევრი დაითხოვეს სამსახურიდან. დაპატიმრებულები კიდევ არ განთავისუფლებიათ. ბურჟუაზიული გაზეთები ნიადაგს უმზადებენ კაპიტალის შეტევას მრეწველობის დანარჩენ დარგებშიაც.

პარიზი, 19 ოქტ. მუშათა საერთაშორისო დახმარების პროპაგანდის კვირეული წარმატებით ჩატარდა ბელგიაში, განსაკუთრებით ბორინაჟში.

იტალია.

რომი. 19 ოქტ. მილანის და აგრეთვე ბრეშიანის პროვინციის ყველა ლითონის ქარხნების მუშებმა რეფერენდუმის საშუალებით ერთხმად უარჰყვეს კოლექტიური ხელშეკრულება, რომელიც დასდო მილანის ფაშისტურმა პროფკავშირმა მწარმოებლებთან. ლითონის მრეწველობის სხვა ცენტრების მუშები მოითხოვენ მელითონეთა გამოსვლას ერთიანი ფრონტით.

რომი. 19 ოქტ. მელითონეთა ფედერაციის მილანის სექციის კომიტეტის არჩევნებში კომუნისტებმა მიიღეს ყველა ხმების 30 პროცენტი, შეთანხმებელ-რეფორმისტებმა 33, მაქსიმალისტებმა—37; ნახევარი წლის წინ კომუნისტები შეადგენდენ მხოლოდ 10 პროცენტს.

პარტიული ცხოვრება

ილიჩის ბავშვები

(პიონერთა მოძრაობის კვირეულის გამო)

თუ როგორი დიდი მნიშვნელობის მქონეა ბავშვთა კომუნისტური მოძრაობა—ეს ყველასათვის ცხადია.

ახალგაზრდა პიონერთა მოძრაობა, რომელსაც მოაქვს ახალი ყოფა-ცხოვრება, ქმნის ახალ ადამიანს, მცირეწლოვანობიდან აკავშირებს მშრომელ მასსების შვილებს პროლეტარიატის ინტერესებთან და აბამს მას საერთაშორისო ბრძოლაში კომუნიზმისათვის,—უთუოდ დიდი მოვლენაა ქვეყნის სოციალისტურ აღმშენებლობის საქმეში.

თვით საერთაშორისო რევოლიუციონური მუშათა კლასის ბელადი, ამხ. ლენინი ამბობდა: „სწავლის გარეშე კომუნიზმი წარმოუდგენელია... ახალგაზრდობამ უნდა ისწავლოს, ისწავლოს და კიდევ ისწავლოს, რადგან მან, როგორც კომუნისტურმა ახალმა თაობამ უნდა ააშენოს კომუნისტური საზოგადოება“-ო.

აქ გათვალისწინებულია საერთოდ ახალგაზრდათა როლი კომუნიზმის საქმეში. რასაკვირველია, იგივე ითქმის ბავშვთა მოძრაობის შესახებაც, როგორც ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის ნორჩ გვარდიაზე.

რამოდენიმე ხნის წინად, აქ, საქართველოში, პიონერთა მოძრაობა თითქმის არც არსებობდა. მხოლოდ ამ უკანასკნელ ხანებში მან გაიდგა დიდი ფესვები და დღეს შეიძლება თამამად ითქვას, რომ ბავშვთა კომუნისტურმა მოძრაობამ კიდეც სავსებით გაამართლა თავისი არსებობა.

დღესაც ჩვენ აშკარად ვხედავთ იმას, თუ როგორი სწრაფის ტემპით იზრდება ბავშვთა მოძრაობა და, თუ როგორ ყოველდღიურად ძლიერდება მისი რიგები.

როგორც ვიცით ბავშვთა კომუნისტური მოძრაობა საქართველოში აღმოცენდა „შევარდენის“ და „სკოუტის“ ლიკვიდაციის ნიადაგზედ.

მენშევიკ - მუსავატ - დაშნაკელების ბატონობის დროს „შევარდენი“ და „სკოუტი“ თავის გარშემო იკრებდა უმთავრესად ფეოდალების, ბურჟუაზიის და შოვინისტურ, ნაციონალისტურ ინტელიგენციის შვილებს.

სულ სხვაა მდგომარეობა ამჟამად.

ბავშვთა კომუნისტური გვარდიის შემადგენლობა წმინდა მუშური და გლეხურია. აი ამდენადვე მისი დანიშნულება და მიზანიც არსებითადაც სხვაგვარია.

ერთია სპარტაკი, მეორეა „შევარდენი“ და „სკოუტი“.

პირველი, როგორც წმინდა პროლეტარული ორგანიზაცია მუშურ-გლეხური მასსების შვილებს ზრდის კომუნისტურად კომუნიზმისათვის, ხოლო მეორე, როგორც ეს ვიცით ახლო წარსულიდან, როგორც ანტი-პროლეტარული ორგანიზაცია საბოლოო ჯამში სავსებით ემსახურებოდა კაპიტალიზმის გამაგრებას.

ვინ არის ახალგაზრდა პიონერი?

ის პირმშო შვილია მუშათა კლასისა.

ის უმცროსი ძმაა კომუნისტის და კომკავშირელისა.

ის მსოფლიო მუშათა კლასის შვილების საუკეთესო ამხანაგია.

ის ერთგული დამცველია ჩვენი ბელადის, ილიჩის ანდერძისა.

ახალგაზრდა პიონერები ილიჩის ბავშვებია.

როგორია პიონერის ტრადიცია?

ის უვლის როგორც თავის, ისე სხვის ფიზიკურ ჯანმრთელობას, დგება ადრე დილით, ვარჯიშობს. ის უაღრესად შრომის მოყვარეა.

როგორია მისი ამოცანები?

ის თავს უყრის, ახდენს ორგანიზაციას უპატრონო ქუჩის ბავშვებისას, აწარმოებს მათ შორის მუშაობას, იზიდავს მათ დემონსტრაციებში, თამაშობაში და სხვა. პიონერები უშვებენ კედლის გაზეთსაც, ეჩვევიან პრესაში თანამშრომლობას. თავის რიგებში მათ შექმნილი აქვთ ნამდვილი კომუნა. ჰყავთ არჩეული მატერიალური, საშრომო, სააღმზრდელო, სასპორტო, სასანიტარო კომისიები. არსებობენ პიონერთა სასამართლოებიც. აწარმოებენ საკლუბო მუშაობას, სხვადასხვა ჯგუფებს შორის იმართება მიწერ-მოწერა და სხვა.

ასე რომ აქ ნამდვილი თვითმართველობა სუფევს.

პიონერები ხშირად მუსიკით, საპიონერო სიმღერებით მიემართებიან სოფლადაც, სადაც ეხმარებიან გლეხობას ყოველგვარ სამუშაოში, ეცნობიან მათ მდგომარეობას, არკვევენ, თუ რამდენი გლეხი დაიარება ეკლესიაში, რამდენი არა, რამდენია რიცხვით პიონერები სოფლად, როგორი მუშაობა სწარმოებს მათ შორის და სხვ.

აი მოკლეთ ის, რასაც აკეთებს ახალგაზრდა პიონერი და, რაც უნდა გააკეთოს მომავალში.

ამასთანავე ერთად აქ უნდა აღვნიშნოთ ისიც, თუ როგორი განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პიონერთა მოძრაობას ჩვენი სკოლების გარდაქმნის საქმეში.

ჩვენს სკოლებს, რომ მივსცეთ საშრომო ხასიათი და დავაახლოვოთ ის ცხოვრებასთან—საჭირო არის მოსწავლე ბავშვების მთლიანად ჩაბმა პიონერთა მოძრაობაში, რადგან ის შეაჩვევს მათ კოლლექტიურ შრომას, აღძრავს მათში პოლიტიკურ მისწრაფებას და სხვა.

მაგრამ, როგორც ზემოთ გაკვრით მოვიხსენიეთ, არა ნაკლები მნიშვნელოვანია პიონერთა მოძრაობა უპატრონო ბავშვთა აღზრდის საქმეშიაც.

სკოლის და ოჯახის გარეშე მდგომი ბავშვები უნუგეშო მდგომარეობაში იმყოფებიან, როგორც ზნეობრივ, ისე ფიზიკურის მხრივ.

პიონერთა მოძრაობა ამ შემთხვევაში ერთი საუკეთესო მეთოდთაგანია ამ ბავშვების ნორმალურ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩასაბმელად

აქ უნდა ითქვას ისიც, რომ პიონერთა მოძრაობა საგრძნობლად მოისუსტებს სოფლად. აუცილებლად საჭირო არის, რაც არ უნდა დაგვიჯდეს ამ ნაკლის და დაბრკოლების გადალახვა. ეს შეადგენს პარტიის და, კერძოდ კომკავშირის ერთ-ერთ ამოცანას

ახალგაზრდა პიონერები დიდ როლს ითამაშებენ სოფლად გლეხობის გაგოფხიზლების საქმეში. ბავშვთა მოძრაობა უნდა შეიქნეს ძველი სოფლის ახალ სოფლად გადაქცევის ერთ-ერთ იარაღად.

ახალი ყოფა-ცხოვრების, ახალი იდეების, საზოგადოებრივი პრინციპების შეტანა სოფლად: კერძოდ გლეხის ოჯახში, მის მეურნეობაში, მის პოლიტიკურ მსოფლმხედველობაში—უნდა გახდეს ბავშვთა კომუნისტური მოძრაობა.

აი ამ მიზნისათვის, კერძოდ და უმთავრესად კომკავშირს ჭმართებს დიდი ენერგიული მუშაობა, რომ მით მან დარაზმოს სოფლის ბავშვები პიონერთა რიგებში და შესაძლებელი გახდეს ამ ორგანიზაციას მიეცეს მოძრაობისათვის ფართე გასაქანი.

რასაკვირველია, ამ საქმეში მათ დახმარება უნდა აღმოუჩინონ ქალაქის პიონერთა ორგანიზაციებმაც, როგორც უფრო მეტად კულტურულმა, გათვითცნობიერებულმა და საერთოდ მაღლა მდგომმა ორგანიზაციებმა.

აი მხოლოდ ამის შემდეგ, როდესაც შესაძლებელი გახდება პიონერთა მოძრაობის გაფართოება სოფლადაც, სოფლის და ქალაქის ბავშვები შეერთებული ძალ-ღონით, ცოდნით და გამოცდილებით შესძლებენ გაამართლონ სავსებით თავიანთი დანიშნულება მშრომელთა კეთილდღეობის დაცვის საქმეში და პირნათლად შეასრულონ ჩვენი ბელადის, ილიჩის ანდერძიც, რომელიც ახალგაზრდობაში ხედავდა კომუნიზმის მშენებელს, ხოლო ახალგაზრდათა მოძრაობის განვითარებაში საერთოდ კომუნიზმისათვის მებრძოლ გვარდიას.

აი მაშინ კი უფრო მეტი გაბედულებით ახალგაზრდა პიონერებს შეუძლიათ სთქვან:

ჩვენ ვართ თავისუფალი ქვეყნის ბავშვები.

ჩვენ ვართ მუშების და გლეხების ახალგაზრდა გვარდია.

ჩვენ ვართ პიონერები, კომკავშირელების მემკვიდრენი.

ჩვენ ვართ ახალგაზრდა ლენინელები, ილიჩის ბავშვები.

შ. ა—ძე.

პარტ-მუშაობა სამტრედიაში

უნდა ითქვას, რომ მენშევიკური ავანტიურის შემდეგ ჩვენი პარტ-მუშაობა საგრძნობლათ გამოცოცხლდა

თუმცა წინეთაც იყო აქ ჩამოსული ამხ. შ. ხატიაშვილი სამაზრო კომიტეტისაგან, რომელიც სისტემატიურ მეცადინეობას აწარმოებდა ყველა უჯრედებში, მაგრამ ეს მეცადინეობა სექტემბერ-ოქტომბერში უფრო გაცხოველდა. ამ ჟამად ყველა უჯრედებში მეცადინეობა სწარმოებს კვირაში ორჯერ, სადაც იკითხება მოხსენებები პარტიის ისტორიიდან, იუსტიციიდან და სხვადასხვა დარგიდან.

ხუთშაბათს 16 ოქტომბერს შესდგა ქალაქის მორიგი კომ-უჯრედის სხდომა. თავმჯდ. არჩეულ იქნა ამხ. ილ. სტურუა, მდივნათ ამხ. ბაგრატ ხუჭუა.

ცეკას პლენუმის მიერ მიღებულ რეზოლიუციის შესახებ ვრცელი მოხსენება გააკეთა ამხ. გერ. ნაფეტვარიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ მთელი პლენუმის მუშაობა მიმდინარეობდა უკანასკნელად ჩვენში მომხდარ ამბების შეფასების და იმ მიზეზების შესწავლაში, თუ რამ გამოიწვია და რა იყო საბაბი ასეთი ავანტიურისა· რომელმაც მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა ჩვენს ხალხს და სხვა. შემდეგ მომხსენებელმა აგრეთვე დაწვრილებით გაარკვია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტს მიერ მიღებული რეზოლიუციების ყველა მუხლები, განმარტა მისი მნიშვნელობა და შეეხო 200 პარტ-ამხანაგების მობილიზაციას, რომლებიც უნდა იქნენ სოფლად გადასროლილნი ჩვენი აპარატების გასაჯანსაღებლად, გლეხობის დასაპყრობად, მათში კულტურული ეკონომიური და პოლიტიკური მუშაობის გასაჩაღებლად.

დასასრულს მომხსენებელმა დაასკვნა, რომ მუშაობის მთელი სიმძიმის ცენტრი უნდა იქნას გადატანილი ჩვენს გლეხობაში, რომ სამუდამოდ აღმოვფხვრათ მენშევიზმის მოგონება ხალხში და მოვამზადოთ, შევაყვაროთ ხალხს მისი მუშურ-გლეხური ხელისუფლება. მოხსენება მიღებულ იქნა ცნობათ და სახელმძღვანელოდ, რის შემდეგ გაირჩა სხვადასხვა საკითხები და კრებაც დაიხურა.

ხან—კანი.

ეს მუშაობა ახლო მომავალში უნდა გაძლიერდეს: ხოლო რაც შეეხება ნედლ გადაუმუშავებელ მასალას—იგი სამი წლის განმავლობაში საკმარისი რაოდენობით არის დაგროვილი.

მუშათა საცხოვრებელ ბინების მდგომარეობის და აღმშენებლობის ზედამხედველობისთვის სპეციალური შრომის ინსპექციის ფუნქციები გამოირკვა მხოლოდ მიმდინარე წელს. თანახმად შრომის სახალხო კომისარიატის და საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს მოთხოვნისა, მრავალი სამეურნეო ორგანო შეუდგა მუშათა საცხოვრებელ ახალ ბინების აგებას (მაგ. ბორჯომი. ჭიათურა) და ძველების შეკეთებას. ამ საკითხის წინასწარ ზედამხედველობაში ბინების სანიტარული და ტეხნიკურ პირობების მიხედვით აგება-შეკეთებაში აქტიურ მონაწილეობას იღებდენ სპეციალური ინსპექტორები. ეს როლი უფრო გაიზრდება იმის შემდეგ, როდესაც განვითარდება შრომის სახალხო კომისარიატთან დაარსებული მუშათა ბინების კოოპერატიული აღმშენებლობის დამხმარე კომიტეტის მუშაობა. ბინების უქონლობის სიმწვავეს ქალაქებში, ნამეტნავათ მუშათა მასებში, რასაკვირველია, უნდა გამოეწვია მუშათა ორგანოების თვითმოქმედება. მუშებმა გასული წლის ბოლოს იწყეს თავის მოყრა საბინაო-კოოპერატიულ ამხანაგობებში. სახელმწიფოს და კომუნალურ ორგანოებს მატერიალური დახმარება უნდა გაეწიათ ამ ამხანაგობებისათვის. ჩვენში ასეთი ამხანაგობები არსებობენ მხოლოდ ტფილისში, მათი რიცხვი უდრის 10-ს. მათ მიერ დაწყებულია დაახლოებით 50 სახლის აშენება. ფულით დახმარების და სხვა შეღავათების აღმოსაჩენათ საბინაო ამხანაგობების მიერ დაარსებულია შრომის სახალხო კომისარიატთან დამხმარე კომიტეტი.

კომიტეტის განკარგულებაში, თანახმად ს. ს. რ. კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1924 წლის მაისის 16 დეკრეტისა, უნდა შემოვიდეს სხვა და სხვა თანხები 1.731.000 მან. რაოდენობით. მთელი ეს თანხა განაწილებული იქნება საბინაო კოოპერატიულ ამხანაგობებს შორის. საბინაო კოოპერაციის მოწყობას უნდა შეუდგეთ რესპუბლიკის სხვა საწარმოო ცენტრებშიც. კომიტეტის მიერ კი ადგილებზე დაარსებული იქნება თავისი ორგანოები ადგილობრივ საბინაო კოოპერაციის დასახმარებლათ.

სატარიფო-საკონფლიქტო მუშაობა.

სატარიფო-საკონფლიქტო მუშაობის დარგში შრომის სახალხო კომისარიატმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ამ საკმარისად ძნელი და რთული მუშაობის ადგილებზე შესაფერ დონეზე დაყენების საკითხს, ვინაიდან უამისოთ შეუძლებელი იყო როგორც ბრძოლა (შრომის ხელფასის) დავალიანებასთან, ისე შრომის პირობების მოწესრიგება. შრომის სახალხო კომისარიატმა შესძლო ამ მუშაობის ერთი წერტილიდან დაძვრა. ჩვენი წარმომადგენლები აქტიურ მონაწილეობას იღებენ აღმასკომების ხარჯთ-აღრიცხვის გამომუშავებაში, რომელშიაც ერთი უმთავრესი ადგილთაგანი უჭირავს შრომის ხელფასის საკითხს და მასთან დაკავშირებულ შტატებს.

შრომის კონფლიქტების მოგვარების დარგში ჩვენი ორგანოების მუშაობა დღითი-დღე უმჯობესდება. ცუდათ არის დაყენებული დავალიანების შესახებ მასალის შეკრეფის და შრომის სახალხო კომისარიატში წარმოდგენის საქმე. ეს დიდი ნაკლი უნდა თავიდან ავიცილოთ ახლო მომავალში.

დღევანდელი [illegible] ჩვენ გვაქვს სახელმწიფო მომარაგებაზე მყოფთა შრომის ხელფასის გაზრდა უმთავრესად მასწავლებლებისათვის. შრომის ხელფასის მინიმუმი 5 მან. 20 კაპ. აყვანილია 7 მანეთამდე, ხოლო განათლების სახალხო კომისარიატის ზოგიერთი ორგანოებისათვის ეს მინიმუმი უფრო გადიდებულია.

ცხრილი—რომლის შეფარდებაც წინათ უდრიდა 1:5-ს, გადაყვანილია ახალ შეფარდებაზე—1:8.

ახლო მომავალში მუშაობა ადგილობრივ ბიუჯეტის სფეროში უნდა სწარმოებდეს იმგვარათ, რომ შემცირებულ იქნეს არასაჭირო - ხარჯები (მათი შემოკლება, შტატების შემცირება) ადგილებზე და შემოღებული სათანადო ტარიფები იმათთვის, ვინც ადგილობრივ ხარჯთ-აღრიცხვაზე იმყოფებიან. კვალიფიკაციის გადასინჯვა, რომელიც ცენტრში ამ ცოტა ხანში დამთავრებული იქნება, უნდა გადატანილი იქნეს ადგილებზე. უკანასკნელ ხანს დაარსებულ საქართველოს სახელმწიფო გეგმის კომისიაში შრომის სახალხო კომისარიატის მიერ წარდგენილი იქნება ახალი აღრიცხულ პროდუქტთა შემადგენლობის პროექტი. უკანასკნელი დამყარებული იქნება რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხის სტატისტიკურ მასალებზე. ამ კომისიას მოუხდება საბოლოოთ გადასჭრას საქართველოს ზოლებათ დაყოფის საკითხი.

კოლექტიურ ხელშეკრულებათა აღრიცხვა მიმდინარე 1924 წელში სწარმოებს სწორათ და მიზანშეწონილად. ამის შესაძლებლობას იძლევა ის გარემოება, რომ მათ თავის დროზე ადგენენ კომისარიატში დაინტერესებული მხარეები, ხოლო ადგილებზე გროვდება მათი აღრიცხვის ბარათები. ამას ის მნიშვნელობა აქვს, რომ შრომის სახალხო კომისარიატს ამით უადვილდება კოლექტიური ხელშეკრულებებით გათვალისწინებული შრომის ხელფასის დონის გამორკვევა და შესაძლებლობა ეძლევა გაატაროს სასტიკი კონტროლი მისი რეგისტრაციის დროს, რასაც მიზნათ აქვს დასახული, რომ ეს ხელფასი დიდათ არ აღემატებოდეს დაწესებულ ნორმებს. უნდა აღინიშნოს. რომ შემდეგისთვის ჩვენ განზრახული გვაქვს კოლექტიურ ხელშეკრულებების აღრიცხვის დროს არ ვიხელმძღვანელოთ ნორმების წინაწარ გათვალისწინებული მინიმუმით და საგეგმო ორგანოების წინადადებები ცხოვრებაში გატარდეს [illegible] მიერ ხელშეკრულებათა დარღვევის შემთხვევებთან შეთანხმებით და ეს უნდა მოხდეს მომრიგებელ ორგანოების საშუალებით. მათ საფუძვლად დაედება ის მინიმუმი, რომელსაც წარადგენს შრომის სახალხო კომისარიატი.

1923 წლის განმავლობაში ჩვენ მოვახერხეთ მოგვეწესრიგებია სახელმწიფო მომარაგებაზე მყოფ სახალხო კომისარიატის შტატები.

რადგანაც მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვით გათვალისწინებული შტატები ჩვენთან დამოუკიდებელ მიზეზების გამო არ იყო ჩვენ მიერ გადასინჯული,—ახლო მომავალში მოგვიხდება ხელი მოვკიდოთ ამ საქმეს.

მიმდინარე წელში შესაძლებელი შეიქნა სამეურნეო ანგარიშზე მყოფ დაწესებულებათა შტატების მოგვარება. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსა და ქალაქის აღმასკომის შტატები შემცირებული იქნა. ამავე დაწესებულებათათვის დაარსდა სპეცფონდები. ჩვენ მიერ სპეცებისათვის დაწესებული დატვირთვა გაცილებით მცირეა არსებულთან შედარებით, მაგ. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მიერ წარმოდგენილი 5 პროცენტს ნაცვლათ დავაწესეთ 5,61 პროც. ე. ი. 0,19 პროც.-თი ნაკლები. ასეთივე მუშაობა გავატარეთ სამეურნეო ანგარიშზე მყოფ დანარჩენ წარმოება-დაწესებულებათა შორის, აგრეთვე კოოპერაციაში. ეს მუშაობა ჩვენ გადავიტანეთ ადგილებზეც.

მომრიგებელ-საკონფლიქტო მუშაობის დარგში საჭიროა აღვნიშნოთ შრომის სახალხო კომისარიატის (როგორც შრომის დამოკიდებულებათა მომწესრიგებელ ორგანოსი)—როლის გაძლიერება.

ამ წლის გამოცდილებამ გვიჩვენა მომრიგებელ ორგანოთა ავტორიტეტის გაზრდა. თუ კი გასულ წელს მომრიგებელი-საარბიტრაჟო ორგანოებს მიმართავდა მუშების უმნიშვნელო რიცხვი შედარებით წვრილ კონფლიქტების დროს, 24 წლის 6 თვის განმავლობაში 40 მომრიგებელი კამერა და 16 სამედიატორო სასამართლო იტევს 9431 მუშა-მოსამსახურეს (ტრანსპორტის, ტყავზე, [illegible] გემო-კვების და კომუნალურ მეურნეობის). კონფლიქტების [illegible] პროცენტი აღმოცენებულია კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადებების და შრომის ხელფასის მიუცემლობის ნიადაგზე.

ვინაიდან მუშები უფრო ხშირათ მიმართავენ მომრიგებელ კამერებს, ვიდრე სამედიატორო სასამართლოებს, საჭიროა [illegible] ჩაითვალოს მხარეთა შეთანხმებით მომრიგებელ კამერების დადგენილებათა ხელახალ განხილვა ახლად მოწყობილ კამერებში.

სამედიატორო სასამართლოთა პრაქტიკაში უნდა აღინიშნოს შედარებით იშვიათი შემთხვევა სუპერ-არბიტრის დასიმენისა და ისიც მხარეთა შეთანხმებით.

შემჩნეულია შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიების მუშაობის გაუმჯობესება. ვინაიდან ყველა მათი დადგენილებანი არ აღწევენ ჩვენამდე, ამიტომ სრული სურათის მოცემა მათი მოქმედების შესახებ ძნელია.

კავშირების მიერ გადასაწყვეტათ გადმოცემულ კონფლიქტების უმეტესი ნაწილის გაუქმება ხშირათ გვიხდებოდა. ეს მდგომარეობა და აგრეთვე ადგილებზე მომრიგებელ-საარბიტრაჟო ორგანოთა მოქმედება მეურნეობის ნორმალურ განვითარებისათვის გვიკარნახებს შრომის სახალხო კომისარიატთან მოწყობილი ზედამხედველობის ბიუროს მუშაობის გაძლიერებას.

მუშაობა ზედამხედველობის ბიუროსი, რომელსაც სათავეში უდგას შრომის საქმეების პროკურორი, უნდა გაძლიერდეს შრომის სასამართლოების მოქმედებაზე ზედამხედველობის ირგვლივ, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც შრომის სახალხო კომისარიატმა შრომის სასამართლოების შემადგენლობიდან გამოიწვია თავისი წარმომადგენლები და უკანასკნელი შესცვალა სამეურნეო ორგანოების წარმომადგენლებით.

შრომის სასამართლოებიდან ჩვენი წარმომადგენლების გამოწვევა და შრომის პროკურატურის შექმნა მეტათ მიზანშეწონილია, ვინაიდან შრომის სახალხო კომისარიატს, როგორც შრომის დამოკიდებულებათა მომწესრიგებელ ორგანოს, ამ შემთხვევაში უფრო ეკუთვნის ზედამხედველობა, ვიდრე სასამართლო-წარმოების ფუნქციები.

პროკურატურის შემოღების შემდეგ შრომის სასამართლოებმა უფრო ინტენსიური მუშაობა დაიწყეს. მაგ. 24 წლის პირველ ნახევარში შემოვიდა 1125 საქმე, ამათში გაურჩეველი 98 საქმე. სამოქალაქო სასამართლოში ამ მხრივ საქმე უფრო ცუდათაა. მაგ. 919 საქმიდან გაურჩეველი აღმოჩნდა მხოლოდ 135 საქმე.

საქმეთა გარჩევის დაჩქარებისა და მომქმედ შრომის უფლებაში თავის დროზე სწორ კორექტივის შეტანისათვის ზედამხედველობის ორგანოს განსაკუთრებით პროკურატურას, მართებს დიდი ყურადღების მიქცევა. ზედამხედველობითი მუშაობა რაც შეიძლება დაჩქარებით უნდა იქნეს გადატანილი მაზრებში.

(დასასრული იქნება).

ა. მიქაძე.

სრ. საქ. პროფკავშირთა მე-4 ყრილობა

ყრილობის გახსნა.

გუშინ 20 ოქტომბერს საღამოს 6 საათზე პროფსაბჭოს დიდ დარბაზში გაიხსნა პროფკავშირთა სრ. საქართველოს მე-4 ყრილობა.

ყრილობა გახსნა პროფსაბჭოს მდივანმა ამხ. ყურულაშვილმა, რომელმაც ყრილობას მოკლე სიტყვით მიმართა.

ყრილობა ამხ. ყურულაშვილის წინადადებით ფეხზე ადგომით პატივს სცემს ამხ. ლენინის ხსოვნას.

პიონერების მისალმება

ყრილობაზე შემოდიან ახალგაზრდა ლენინელი ბავშები, რომელთა სახელით ყრილობას ესალმება ახალგაზრდა ლენინელნი პანამარიოვი და ფარსეგოვას ქალი.

პრეზიდიუმის არჩევა.

პრეზიდიუმში ყრილობა ერთხმად ირჩევს ამხ. ამხ. სარქისოვს, ათოევს, კახიანს, ყურულაშვილს, ჯუღელს, სემკოვს. ხუტულაშვილს, ფირალოვს, ცირეკიძეს, ლომთათიძეს, ვაშაკიძეს, მიქაძეს, პოდელსკის, ჰანეტურაიას, ელბაქიანს, ნუცუბიძეს შ. და თ. ნიკოლაევს.

სამდივნოში არჩეულნი არიან ამხ. ამხ. პოლუსკი, ფანცხავა, ჩხეიძე, პიასეცკი და ბაბაჯანოვი.

გ. ყურულაშვილის მოხსენება.

პრეზიდიუმის არჩევის შემდეგ ყრილობამ მოისმინა გ. ყურულაშვილის მოხსენება საქართველოს პროფსაბჭოს მუშაობის შესახებ.

ქრონიკა

— **პროფკავშირთა ყრილობის გადადება.** თბილისში მოსული ცნობებით, სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურმა საბჭომ დაადგინა საბჭოთა კავშირის პროფკავშირთა ყრილობა გადაიდოს 10 ნოემბრისათვის.

— **საქართველოს მ|გ. ინსპექციაში.** ა|წ. ოქტომბრის 14-ს საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის შენობაში შესდგა ამხ. ა. დოლიძის თავმჯდომარეობით თათბირი სამკურნალო მცენარეების შეგროვების და კულტურის საკითხის გამოსარკვევად. თათბირმა გამოჰყო სპეციალური კომისია ამ საკითხზე მოხსენების დასამუშავებლად.

— **შრომის საქმეების პროკურატურა.** საქ. სახ. კომისართა საბჭომ მიიღო დებულება შრომის საქმეების პროკურატურის დაარსების შესახებ.

— **დახმარება მშობიარეთ.** თბ. დამზღვევ კასამ სექტემბერში მშობიარეთ დახმარების სახით მისცა 1,780 მან.

— **დასამარხი ფული** დამზღვევ კასამ სექტემბერში გაიღო 2,338 მან. და 50 კ. რაოდენობით.

— **სახალხო კომისართა საბჭომ** მიიღო სისხლის სამართლის მილიციის დებულება.

— **სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის** თავმჯდომარეთ დაინიშნა ამხ. ს. ჯუღელი.

— **სახალხო მამულებისათვის.** მიწად-მოქ. კომისარიატმა რუსეთიდან მიიღო 200 ფური სოდა.

— **საგადასახადო კომისიები.** გადაწყვეტილია ყველა სოფელში დაარსდეს კომისიები გლეხების საჩივრების განსახილველათ სასოფლო გადასახადის შესახებ.

— **მუშათა კოოპერატიულ აღმშენებლობის** დამხმარე კომიტეტმა შუამდგომლობა აღძრა საკავშირო კოოპერატიულ ბანკის წინაშე 50,000 მან. სესხით მიცემის შესახებ მუშათა სახლების ასაშენებლათ.

— ქ. აღმასკომმა დაავალა საბჭოს წევრებს, რომელნიც შედიან მშობელთა კომიტეტებში, მიიღონ ზომები რათა მშობელთა კომიტეტების დახმარება სკოლებისათვის იქნეს მხოლოდ ნებაყოფლობითი და ებრძოლონ ძალდატანებითი წვლილის გაღებას, თუ ასეთს დღემდე ჰქონდა ადგილი.

— **მუცლის მოშლის წინააღმდეგ.** ჯანსახკომი იმუშავებს დადგენილებას, ხელოვნურათ მუცლის მოშლის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით.

— **დახმარება პენსიონერებს.** სექტემბერში თბ. დამზღ. კასამ პენსიონერებს დახმარების სახით მისცა 6,545 მ. 75 კ.

— **სურამის სულით ავადმყოფთა** თავშესაფარისათვის ჯანსახკომმა გადასდო 400. მან.

— **ახალი სკოლები.** ქ. აღმასკომმა გადასწყვიტა სკოლის გარეშე დარჩენილ ბავშთათვის, გახსნას ახალი სკოლები და ამ მიზნით აღძრას შუამდგომლობა სახ. კომისართა საბჭოს წინაშე დამატებითი დოტაციის 190,000 მან. გახსნის შესახებ.

— **წითელი სასადილოების მოსაწყობად.** ქალ. აღმასკომმა მუშათა მთლიან კოოპერატივს სესხის სახით გადასცა 10,000 მან. წითელ სასადილოების მოსაწყობათ.

— **აგრონდახმარება მაზრას.** ქალ. აღმასკომმა გადასწყვიტა თბ. მაზრისათვის აგრონომიულ დახმარებისათვის სასოფლო სამეურნეო ბანკიდან აიღოს სესხით 30,500 მან. და გადასცეს საადგილ-მამულო განყოფილებას აღნიშნულ მიზნით.

— **ქ. ჯანმრთელობის განყოფილებას** წინადადება მიეცა ნოემბრამდე წარმოადგინოს თავისი ხარჯთ-აღრიცხვა 24—25 წ. წ.

— **გლეხთა სახლის მოსაწყობათ.** ქ. აღმასკომმა თბილისში გლეხთა სასახლის მოსაწყობათ გადასდო 5,000 მან

— **მუშაობა ახალწვეულებში.** პოლიტგანყოფილებასთან დაარსდა ცენტრალური კომისია, რომელსაც მიზნათ აქვს სააგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობის ჩატარება ახალწვეულებში.

— **ჯარის კლუბების გამგეთა თათბირი.** 25 ოქტ. წითელარმიელთა ცენტ. კლუბში, დილის 10 საათზე გაიხსნება 1-ლი დივიზიის ნაწილების კლუბების გამგეთა თათბირი.

— **ზაქარია ჭიჭინაძის მოხსენება.** ახლო ხანში ზაქარია ჭიჭინაძე რესპუბლიკის სხვადასხვა ადგილას წაიკითხავს მოხსენებას: „ქართველები სპარსეთში“

— **ფ.-ტელეგრაფის სახ.** კომისარიატმა გასცა განკარგულება ტელეგრაფის მიმღებ აპარატებთან მოაწყონ სასმენი აპარატები.

— **სკოლის გარეშ** დარჩენილ ბავშთათვის საჭიროა გაიხსნას 96 ჯგუფი.

— **საექიმო შემოწმება.** გემო-კვების კავშირის წევრები, რომელნიც გაიგზავნებიან სამუშაოზე შემოწმებულ უნდა იქნენ ჯანმრთელობის მხრივ წინასწარ.

— **შრ. სახ. კომისარიატმა** აცნობა მაზრებს, რომ აკრძალულია რაიმე ცვლილების შეტანა მასწავლებელთა ხელფასის ნორმებში.

— **კანტორის მომუშავენი.** შრ. სახ. კომისარიატმა შეიმუშავა ტარიფი იმ კანტორის მოსამსახურეთათვის, რომელნიც მუშაობენ 8 საათს.

— **წითელი სასადილოები.** თანახმად შრ. სახ. კომისარიატის დადგენილებისა სამშაბათობით და ოთხშაბათობით იმუშავებენ.

ხელოვნება

ავლაბრის მუშათა კლუბში.

პარასკევს, 17 ოქტომბერს, ავლაბრის მუშათა კლუბში, სომხურ ენაზე წარმოდგენილ იქნა სამ მოქმედებიანი ოპერეტა „სილვა“. დადგა კარგი იყო და აღტაცებაში მოიყვანა დამსწრე საზოგადოება. ყველა მსახიობები საუცხოოდ ასრულებდნენ თავთავიანთ როლებს. ერთი ნაკლი მხოლოდ ის იყო, რომ მუსიკა ზოგჯერ ვერ უკრავდა შეთანხმებულად მომღერლებთან ერთად.

ი. ჯ.

სანიტარული განათლების თეატრი.

შაბათს, 18 ოქტომბერს, გაიხსნა სეზონი სანგანათლების თეატრში. დადგმულ იქნა პიესა „ზღვის სიმღერა“ რუსულ ენაზე.

პიესა დადგა მსახიობმა სერგეევმა. აღსანიშნავია მსახიობ ვოინაროვსკი და ლენინი, რომლებმაც კარგად გადმოგვცა ტუბერკულიოზით ავადმყოფის (ვოინაროვსკი) სულის კვეთება და ექიმის (ლენინი) როლი. კარგი იყო კონცერტო ნაწილიც. თეატრი ხალხით სავსე იყო.

ა. ნ.

— **საბავშვო მოთხრობები.** გამოვიდა ლ. ქიაჩელის „საბავშვო მოთხრობების“ მეორე წიგნი. წიგნი ძლიერ ლამაზად არის გამოცემული, შეიცავს 35 გვერდს. ღირს 65 კაპეიკი.

მენშევიკების ავანტიურის გამოძახილი

რეზოლიუცია

მიღებული მთავარ სახელოსნოს, დეპოს და თბილისის რკინის გზის კვანძის მუშა-მოსამსახურეთა უპარტიო და ყოფილი მენშევიკების კრებაზე 7 ოქტომბერს

საქართველოს უკანასკნელი ამბები—შეიარაღებული გამოსვლა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ—არის ნამდვილი ავანტიურა აჯანყების მომწყობ პოლიტიკურ „იდეოლოგებმა“ ანგარიში არ გაუწიეს საქართველოს მშრომელი ხალხის სულისკვეთებას და მის განწყობილებას საბჭოთა ხელისუფლებისადმი, აგრეთვე არ გაუწიეს ანგარიში დასავლეთ ევროპის მუშათა კლასის მშვიდობიან განწყობილებას საბჭოთა საკავშირო რესპუბლიკისადმი. ამას შედეგათ მოჰყვა საქართველოს ერის გამანადგურებელი საქმე და მენშევიკურ იდეოლოგიის საბოლოო გაკოტრება. არალეგალური მუშაობის ხელმძღვანელები ავრცელებდენ ქართველ ხალხში ტყუილ იმედებს, რომ ევროპა დაეხმარება საქართველოს რუსეთის წინააღმდეგო. შეიარაღებული გამოსვლა არ მოხდებოდა, შეუძლებელი იქნებოდა, რომ ძალაუფლების მოწინააღმდეგე წრეები ამისთანა იმედებით არ მოტყუილებულიყვნენ.

დღეს დასავლეთ ევროპის პრესაში ატეხილია დიდი ხმაურობა საქართველოში მომხდარ ამბების გამო, ეს იწვევს ახალ იმედებს და ამითი ეძლევა ახალი ნიადაგი არალეგალურ მუშაობას.

ქართველმა ერმა მტკიცეთ უნდა შეიგნოს, რომ ევროპა არ გადასდგამს არავითარ ნაბიჯს საქართველოს სასარგებლოთ, ცარიელი ლაპარაკით, სიტყვებით, თანაგრძნობით, რეზოლიუციებით მხოლოდ აღიზიანებს ხელისუფლების მოწინააღმდეგე ელემენტებს და ამწვავებს მათ დამოკიდებულებას საბჭოთა ხელისუფლებისადმი. საუკეთესო დახმარება იქნება ევროპის მხრივ, თუ გადაჭრით იტყვის, რომ ის ვერაფრით ვერ დაეხმარება საბჭოთა ძალაუფლების მოწინააღმდეგეებს.

ჩვენ, მშრომელი ხალხი ყოველთვის მთელი ჩვენი სასიცოცხლო ძალებით ვიბრძოდით საქართველოს დამოუკიდებლობისათვის. ჩვენ ვიცით, რომ ერის დამოუკიდებლობა ნიშნავს იმის ეკონომიურ და კულტურულ აღორძინებას. თუ ერი რომელიმე დიდი სახელმწიფოს ხელქვეითი გახდა ის ჩამორჩება ეკონომიურადაც და კულტურულადაც, საქართველო ვერ იარსებებს, ვერ წავა წინ, თუ რომელიმე დიდი სახელმწიფო არ იყოლია მოკავშირეთ. არც ერთი სახელმწიფო დასავლეთ ევროპაში არ არის დაინტერესებული საქართველო იყოლიოს თავისუფალ კავშირში. ევროპის სახელმწიფოებთან შესაძლებელია ლაპარაკი მხოლოდ მფარველობაზე და პროტექტორატის შესახებ. სხვისი პროტექტორატის ქვეშ მყოფი ერი ვერ განამტკიცებს ეროვნულ დამოუკიდებლობას. სხვისი მფარველობით პატარა ერი ყოველთვის იქცევა ახალშენათ, კოლონიათ.

საქართველოს დამოუკიდებლობა შესაძლებელია საბჭოთა რუსეთის თავისუფალ კავშირში. მმართველ პარტიის პრინციპები, დადგენილებები, საკმაო დასაყრდნობი წერტილია ქართველ მშრომელ ხალხისთვის ეკონომიურ და კულტურულ აღმშენებლობის სარბიელზე. სრული გატარება ცხოვრებაში ამ პრინციპების, დადგენილებების უფრო ადვილი შესაძლებელი გახდება თუ საქართველოს ყველა ცოცხალი ძალები თავს დაანებებენ შავი ზღვისაკენ ყურებას და ჩაებმებიან სააღმშენებლო მუშაობაში.

გაითვალისწინა რა ყოველივე ეს, ყოფილ მენშევიკების უპარტიო კრებამ დაადგინა: მოუწოდოს არალეგალურ ცეკას და ყველა არალეგალურ ორგანიზაციებს, რომლებსაც მიზნათ დაუსახავთ აწარმოონ შემცდარი გზით მიმართული და ყოვლად მოუსაზრებელი (ჰინჰრაქისებური*) ბრძოლა საბჭოთა ძალაუფლების წინაშე, რამაც გამოიწვია და შემდეგშიაც გამოიწვევს უზომო მსხვერპლს ქართველი ერის მიერ, რომელიც ნადგურდება ფიზიკურათ, ეკონომიურად და კულტურულად, აგრეთვე მოუწოდებს ყველა იმათ, ვინც კიდევ იყურება შავი ზღვის პირისაკენ თავი დაანებონ იქიდან მე-2 ინტერნაციონალის დახმარების მოლოდინს, საქართველოს შინაურ საქმეებში ჩარევით საქართველოს განთავისუფლებას, რადგან ყველა დარწმუნებული უნდა ვიყოთ იმაში, რომ ასეთს პოლიტიკას, მიმართულს საბჭოთა ძალაუფლების წინააღმდეგ და მის დამაუძლურებელს, როგორც საგარეო ისე საშინაო პოლიტიკაში, სახელმწიფო ვერ მოითმენს და ის იძულებული გახდება ყოველნაირ საშუალებას მიმართოს ასეთი სახელმწიფოებრივი საფრთხის თავიდან ასაცილებლად, უკანასკნელი კი მხოლოდ და მხოლოდ გაანადგურებს ერს.

ამასთან ერთად ყველამ უნდა იცოდეს, რომ საბჭოთა ძალაუფლების წინააღმდეგ გამოლაშქრების დროს, რომელი მხრიდანაც არ უნდა იყვეს ეს, საქართველოს მუშათა კლასი, როგორც ერთი კაცი, მხარში ამოუდგება საბჭოთა მთავრობას და უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლებს ხელისუფლების დასაცავათ, რომ ბოლო მოუღოს ქართველი ერის გამანადგურებელ პოლიტიკას. დავდგეთ ყველა გულწრფელათ მესამე ინტერნაციონალის დროშის ქვეშ და უარვყოთ ეხლანდელი დაშნაკური პოლიტიკა, რამაც გაანადგურა სომხის ერი.

თავისთავად ცხადია, რომ ამნაირი მუშაობა ვერ დადგება მტკიცე საიმედო ნიადაგზე, თუ ხელი არ შეუწყვეთ მშვიდობიანობის ჩამოგდებას. ჩვენ უნდა ვეცადოთ მთელი ჩვენი ძალ-ღონით, რომ გულწრფელ ნდობაზედ და თანამშრომლობაზედ იქნეს დამყარებული ძალაუფლების და ქართველი ხალხის ურთიერთობა.

უცნაური ხმების გავრცელება ამძიმებს უმისოდაც დამძიმებულს ჰაერს, ამწვავებს მეზობელ ერების ურთიერთშორის დამოკიდებულებას, ჩვენ უნდა ვებრძოლოთ ამისთანა ხმების გავრცელებას, რომ ამ გზით აღმოვფხვრათ ძირიან-ფესვიანათ ეროვნული სიძულვილი. ჩვენ უნდა მიუთითოთ ხოლმე მმართველ პარტიას ყოველ იმ კერძო შემთხვევებზე, როცა მისი სახელით ესა თუ ის პატარა აღმასრულებელი ბოროტათ იყენებს თავის თანამდებობას და ხელს უშლის მშრომელი ხალხის დაახლოვებას საბჭოთა ხელისუფლებასთან.

ძალაუფლებამ საშუალება უნდა მისცეს ყველას, ვინც მომხრეა გულწრფელი, პატიოსანი თანამშრომლობის, რომ ის მოეკიდოს კულტურულ, ეკონომიურ აღმშენებლობას. ამისთანა თანამშრომლობის პროცესში, პრაქტიკულ ნიადაგზე თანაგრძნობით, დაიძლევა, ჩვენი ღრმა რწმენით, ის შეურიგებლობა, რომელიც არსებობს დღეს ქართველი ერის ამა თუ იმ წრეებში. ასეთი თანამშრომლობა შექმნის საქართველოს აღორძინებას და მისი დამოუკიდებლობის წინსვლის პირობებს.

გაუმარჯოს მესამე ინტერნაციონალს.

გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარიატს.

კრების თავმჯდომარე **ძამანაშვილი**

პრეზიდიუმის წევრები: **1. მ. ძამანაშვილი. 2. ა. გუმბაძე. 3. პ. ხურცილავა. 4. კ. მაჭარაძე. 5. დ. პაპაძე.**

---

*) ჰინჰრაქა არის ყველაზე უძლური ჩიტი პატარა მფრინველებში.

მეცნიერება-ტექნიკა

მანქანა, რომლითაც შეიძლება სხვისი აზრების წაკითხვა.

ექიმმა ჯონ-ლიარსენმა კალიფორნიაში (ლიარსენი სურათზე პოლიციელის ფორმაში) გამოიგონა მანქანა, რომლის საშუალებითაც შეიძლება გამორკვევა, სიმართლეს ამბობს თუ სტყუის ესა თუ ის პიროვნება.



მანქანით იკვლევენ ადამიანის სასუნთქი მილების, გულის და ნერვების მოქმედებას, მანქანა ამავე დროს კონტროლს უწევს ადამიანის მთელ ნერვიულ სისტემას. მანქანა პირველად გამოიყენეს ამერიკაში ჩარლზ-რიდის პროცესში. ამ პროცესმა თავის დროზე დიდი აურ-ზაური და მითქმა-მოთქმა გამოიწვია ამერიკაში. ჩარლზ-რიდს ბრალდებოდა ყალბი ფულების მოჭრა. სასამართლოში ის შეამოწმეს ლიარსენის მიერ გამოგონებული მანქანით, რომელმაც დაადასტურა რომ რიდი დამნაშავეა.

სურათზე ექიმი ჯონ-ლიარსენი სპეციალისტ ფსიქიატრის თანდასწრებით იკვლევს პასუხისგებაში მიცემული პირის დანაშაულობას, თუ სიმართლეს.

ახალი ენა.

ამერიკული ჟურნალ-გაზეთების ცნობით, შემუშავებულია ახალი საერთაშორისო ენა „იდო“, რომლის მთავარი საფუძვლები გამოიმუშავა კოპენგაგენის (დანია) უნივერსიტეტის პროფესორმა ოტტო იერსპერსენმა. განზრახულია ამ ენის ხმარება უმთავრესათ მეცნიერებაში. ტექნიკაში, კომერციაში და რადიოთი ცნობების გადასაცემათ. „იდო“ ჰგავს ესპერანტოს და იტალიურ ენებს, მეტად მარტივი და პლასტიკურია. მისი შესწავლა განსაკუთრებით გაადვილდება ყველას, ვინც იცნობს ფრანგულ ან იტალიურ ენას. იმის გამოსარკვევად, თუ რამდენად მიზანშეწონილია ახალი ენის შემოღება ხმარებაში, სთარგმნეს „იდო“-ს ენაზე ანრი აინშტეინის და ბერგსონის ნაწერები ფრაზა „ეს საერთაშორისო ენა არის ყველაზე საუკეთესო და აგრეთვე ადვილი ხალხის დიდი უმრავლესობისათვის“ ამ ენაზე ასე იქნება:

„La internaciona linguo esas la maxim bona osas maxim facila parl maxim granda nombro di homo“.

პროვინციაში

სოფლები შეფს ითხოვენ

წერილი ამხანაგებს მედსანშრომის კავშირიდან

სადგურ კასპიდან ქვემოჭალის რაიონის მიმართულებით ერთი საათი რომ იაროთ მშვენიერი გზატკეცილით, მიადგებით შემაღლებულ ფერდობებზე კოხტათ წამოჭიმულ პატარა სოფელ იგოეთს. იქვე მის დაბლა ერთი-მეექვსედი ვერსის მოშორებით გამოსცქერიან ისეთივე პატარა უბანი ლამი და რგვა-ჭალა. პირველს და ორ უკანასკნელს შუაში ჩამოუდის მდ. ლეხურა, რომლის ნაპირები შემკულია ბაღ-ვენახებით და სათესი მიწებით. ნამდვილი სააგარაკო, ბუნებით საუკეთესო ადგილს დილიდან საღამომდენ მზის სხივები სიუხვით დაქათქათებენ.

აი ეს სამი სოფელი, 100 კომლისგან შემდგარი მუდამ ძმათ შეფიცულნი რევოლიუციისათვის, ძველი მოხუცი კომუნისტის კაკოლა ჩადუნელის მეთაურობით მუდამ ვებრძოდით მეფის და მენშევიკების რეაქციას. ამ სამ სოფელს არ მიგვიცია არც ერთი სახალხო გვარდიელი. ნეტარების დრო დაუდგათ მშრომელთ. განათლების და კულტურის შუქი იწყებს შესვლას დამონებულთა ოჯახში. წელმომაგრებულმა რევოლიუციამ ქალაქიდან სოფელს მიაშურა. ქარხნის მუშები სოფლელთ მიესივნენ შეფების სახით, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრ სოფელს არ ყავს პატრონი, არ ყავს შეფი. არ გვყავს არც ჩვენ შეფი. კიდევ ყრუა სოფელი.

როგორც გავიგეთ ჩვენს ხელმძღვანელ პარტიას დაუდგენია სოფელს მივხედოთო, საუკეთესო ძალებით დავეხმაროთო. ხელებ-გაშლილი ეგებება ამ დადგენილებას ჩვენი გლეხობა. სოფლათ საჭიროა განათლებული ძალები, შეგნებული ინტელიგენცია. და აი ჩვენ გვინდა თქვენც დაგიახლოვდეთ. აქამდე ქალაქიდან მუშები არც კი გვკითხავდნენ ისე მოდიოდნენ ჩვენთან შეფებათ, ახლა ჩვენ აღარ გკითხავთ ისე მოვდივართ საპატარძლოს მოსაძებნათ, უნდა შევქნათ მტკიცე ოჯახი. გვირგვინს, რომელშიაც ნამგალ-ჩაქუჩია გამოხატული, კალამიც მიემატოს. შრომა და განათლება მტრის გამსრესია.

შევიკრიბეთ რა აქ ჩამოთვლილი სამი სოფელი დავადგინეთ და არ ვიცით გთხოვოთ თუ მოვითხოვოთ. წერილს გიგზავნით გაზეთით, გთხოვთ იკისროთ ჩვენზე შეფობა. გასაკეთებელი ბევრი გვაქვს. მობრძანდებით ნახავთ: სკოლა, ელექტრონის წისქვილი, ხიდი და ბევრი სხვა. სიპატარავით ნუ დაგვიწუნებთ, დეე ეს გახდეს პირველი მაგალითი სხვა სოფლებისთვის და ეს იყოს ნიმუში გლეხების გამოფხიზლების. ძმური სალამით.

ხელს ვაწერთ: იგოეთიდან—**კ. ჩადუნელი**, ლამიდან—**შაქრო მარიამიძე**, რგვალ ჭალიდან—**თედო ყარალაშვილი.**

მასწავლებელთა კონფერენცია ლეჩხუმის მაზრაში

7 ოქტომბერს შესდგა ქ. ცაგერში განათლების მუშაკთა კონფერენცია. დღის წესრიგში იყო შემდეგი საკითხები: პროფმუშაობის ირგვლივ, განათლების განყოფილების ინსპექტორის მოხსენება, საერთაშორისო მდგომარეობა, კომკავშირი და მასწავლებლობა, წერკუმსის, (რემედასის საზოგადოებებში და სხვა.

თვითეულ საკითხების ირგვლივ გაიმართა სჯა-ბაასი.

მიღებულ რეზოლიუციებში მასწავლებლობა აცხადებს, რომ დაუახლოვდება გლეხობას, მოაწყობს მათთვის გაზეთ „მიწის მუშის“ წაკითხვას, მონაწილეობას მიიღებს წერკუმსის, რემედასის საჰაერო ფლოტის მეგობართა, გლეხკომების მუშაობაში. არ დაზოგავენ თავიანთ ენერგიას სოფლად კულტ-მუშაობის გასაძლიერებლად.

დამსწრე.

პროვინციის ქრონიკა

— **საძოვრები.** წალკის რაიონში მესაქონლეთა შორის განაწილებული იქნა 6 ათასი დესეტინა საძოვრები.

— **ჭიათურაში** ამ დღეებში გაიხსნება შორაპნის მაზრის თვითმშრომელთა კონფერენცია.

— **ჯანსახკომის გადაწყვეტილებით** სოფლებში გახსნილი იქნება კურსები, სადაც გლეხებს შეასწავლიან მავნებლებთან ბრძოლას.

— **ყარაიაზის გლეხებმა.** თავიანთ შორის შეაგროვეს 300 მან. და გადასცეს რაიგლეხკომს გლეხებში კულტურული საქმის საწარმოებლათ.

— **ფასანაურის რაიგლეხკომში.** ამხ. გარ-ნარის ცნობით, 10 ოქტომბერს შესდგა ფასანაურის რაიგლეხკომის პრეზიდიუმის სხდომა. სხდომას დაესწრო დუშეთის მაზრის გლეხკომის თავმჯდომარე ამხ. დარახველიძე. სხდომამ მოისმინა მოხსენება გლეხკომის მოქმედების შესახებ და გამოიმუშავა მომავალი მუშაობის გეგმა.

წერილები რედაქციის მიმართ

პატივცემულო რედაქტორო!

გთხოვთ მოათავსოთ თქვენ გაზეთში შემდეგი განცხადება:

დუშეთის მაზრის სოფელ მჭადისჯვრის სამრევლოს მღვდელი, ზაქარია ლაშაური ნებაყოფლობით უარს ვამბობ მღვდელობაზედ შემდეგ მოსაზრებით: ჩემი მიზანი—ხალხის სამსახურია. ამჟამათ ხალხი საჭიროებს განსაკუთრებით განათლებას. მე მსურს მთლიანათ დავსდო თავი ამ საქმისთვის. ამისთვის, ვტოვებ რა უწინდელ მოღვაწეობას და ვსწყვეტ ყოველივე დამოკიდებულებას სასულიერო წოდებასთან, ფიცს ვსდებ ვემსახურო საერო განათლების საქმეს, რომელიც მომცემს საშუალებას ჩემის შრომით რაიმე სარგებლობა მოუტანო მშრომელ ხალხს.

ყოფ. მღვდელი **ზაქარია ლაშაური.**

ამხანაგო რედაქტორო! გთხოვთ თქვენს პატივცემულ გაზეთში მომითავსოთ შემდეგი განცხადება:

1917 წლიდან 1921 წლამდე მე ვირიცხებოდი სოციალ. ფედერალისტთა სარევ. პარტიაში. მხოლოდ საქართველოს გასაბჭოების შემდეგ მე დავიწყე მუშაობა არალეგალურად ახალგაზრდათა მარქსისტთა ორგანიზაციაში, სადაც ფაქტიურად ვმუშაობდი 1924 წ. 7 ოქტომბრამდე. ახლა, როდესაც ღრმად დავრწმუნდი იმაში, რომ მენშევიკურმა და სოც.-ფედერალისტთა პარტიებმა უღალატეს მუშათა კლასს,—ერთხელ და სამუდამოდ ვგმობ ჩემს წინანდელს გზას და სრული ჩემის ენერგიით მზად ვარ ვემსახურო საბჭოთა ხელისუფლებას.

ქეთო რაზმაძე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— დღეს 21 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე ცენტრალურ პარტიულ კლუბში ნაჩვენები იქნება სურათი: **„წითელი ეშმაკუნები“.** შესვლა თავისუფალია კომუნისტების ოჯახებისათვის.

— საქ. კომპარტიის ტფილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი იუწყება, რომ სამშაბათს 21 ოქტომბერს საღამოს 6 საათზე ქალაქის ალმასკომის დარბაზში გაიმართება შემდეგ იაჩეიკების გაერთიანებული სხდომა:

წარმოკავშირის, წითელი ქართლის, „პურის პროდუქტის“ სახალხო კვების, ალმასკომის, სახ. კომისართა საბჭოს, ნავთ-სადგურების სამმართველოს „ჩემოს“, შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატის, ქალაქის მილიციის, ცენტრ. სტატისტ. სამმართველოს, მუშათა და გლეხთა ინსპექციის, ფინანსთა სახ. კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს, ამიერ-კავკ. ფინანსთა სახ. კომისარიატის, სახელმწიფო ბანკის, სრულიად რუსეთის კოოპერატიულ ბანკის, კოჯორის.

ყველას დასწრება სავალდებულოა.

პასუხისმგებელი მდივანი—გ. სტურუა.

— 21 ოქტ., საღამოს 5 საათზე „რემედასის“ თბილისის ორგანიზაციის შენობაში დანიშნულია საბჭოს წევრების და რწმუნებულების კრება, დღის წესრიგი: „რემედასის“ ცეკას წევრის ა. კრამოროვის საინსტრუქციო მოხსენება.

საბჭოს ყველა წევრებისა და რწმუნებულების დასწრება სავალდებულოა.

მდივანი: მარგანიძე.

— ქალაქის რაიონის ქალთა განყოფილება იუწყება: სამშაბათს, 21 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე „კოტარის“ კლუბში, ერმოლოვის ქუჩაზე, შესდგება ქალაქის რაიონის ქალთაგან ახლად არჩეულ დელეგატთა კრება.

ყველას დასწრება სავალდებულოა.

— ს. კ. პ. თბილისის კომიტეტი წინადადებას იძლევა პარასკევს, 24 ოქტომბერს, **ერთიან პარტიულ დღეს** დაისვას საკითხი **საბინაო პოლიტიკას შესახებ.**

მასალების მიღება შეიძლება თბილისის კომიტეტში და რაიკომების სააგიტ-საპროპ. განყოფილებაში.

თ. კ. მდივანი: რუბენი.

პროფესიული

კლუბის გამგეობა

— სატრანსპორტო კავშირის ცენტ. გამგეობის პრეზიდიუმი წინადადებას აძლევს თ. ს. პ. ინსტიტუტის, ა—კ. უნივერსიტეტის და მუშფაკის სტუდენტებს, რომლებიც ითვლებიან კავშირის წევრათ გამოცხადდენ რეგისტრაციაში გასატარებლათ ა. ჯინჯოიანთან მუშფაკი. (ბებუთოვის ქ. № 28.) მესამე კურსი, **ჯგუფი „დ“,** 5—8 საათამდე. ამხანაგ თათულოვთან ალმასბიუროს ოთახში საღამოს 7—9 საათამდე. ვადა: 21—25 ოქტომბრამდე.

ვინც არ გამოცხადდება რეგისტრაციაზე, გამორიცხულ იქნება კავშირიდან.

პრეზიდიუმი.

გან. მუშაკთა სახლში.

— ოთხშაბათს, ოქტომბრის 22-ს, საღ. 7 საათზე შესდგება:

1. ამხ. რახმანის მოხსენება: „ბავშვთა კომუნისტური მოძრაობა“.
2. ამხ. კარაზინოვას მოხსენება: ბავშვთა კომუნისტური მოძრაობის პერსპექტივები მოსკოვის ორგანიზაციების გამოკვლევის მიხედვით.
3. ბავშვთა მოძრაობის შესწავლის სექციის ორგანიზაცია და ჩაწერა სექციაში.

საქართველოს სახელმწიფო კინო-მრეწველობა

დღეს, 21 ოქტომბრიდან

კინო არფასტო, აპოლო და სოლეილში

სამ სერიად თანამედროვე კინო რომანი სამ სერიად

დაკარგული საუნჯენი

ნ. მორსკოის რომანის მიხედვით. სცენარი ა. ბეკ-ნაზაროვის

სამოქალაქო ომი მძვინვარებს. ვერაგმა მტერმა მოსწამლა ჭები, საიდანაც წითელარმიელები წყალს იღებენ.
თეთრი ავანტიურისტები და სამღვდელოება ეხმარებიან შავ-გენერალს—ვრანგელს. მონასტრის სარდაფებში გადამალული განძეულობა უნდა მოხმარდეს მეფის ტახტის აღდგენას, მაგრამ რევოლიუციის ერთგული მცველის საგანგებო კომისიის თვალი ყველაფერს ხედავს
შეთქმულება აღმოაჩინეს, განძეულობა იპოვეს || თეთრები ალყაშემორტყმულები არიან

მასიური სცენები. დიდი ბრძოლები.
რეჟისორი ბეკ-ნაზაროვი ოპერატორი ზაბოზლაევი

მონაწილეობას იღებენ: ს. ჟოზეფი, პ. ესიკოვსკი, პ. მოროზოვი, მ. არნაზი, ი. კრუჩინინი, ნ. ნიროვი, ვ. ბრიანსკი, ი. ბურინსკი, პ. პოკროვსკი და სხვები.

ნ. № 22—3—3

სახელმწიფო ოპერა

დღეს, 21 ოქტომბერს

ევგენი ონეგინი

ბილეთები იყიდება დღის 12-დან შუადღის 4 საათამდე და საღამოს 6 საათ. წარმოდგენის გათავებამდე.

ნ. 28 3—2

თბილისის კომუნალური ბანკი

აწვდის ყველა სახელმწიფო, სამეურნეო და კოოპერატიულ ორგანიზაციებს და აგრეთვე კერძო პირებს

ურალის სამთო-მადნო სინდიკატის

„ურალ მეტ“-ის

ყოველგვარ პროდუქციას საქარხნო ფასებში

ბანკის საწყობებში არის სახურავი რკინა 1-ლი ხარისხის 10 გირ.
4-ე „ 10 „

სხვადასხვა რკინეულობა, მავთული 1/4 „კატანკა“

გასარეცხი ბაკები „ევრიკა“-ს სისტემის, რკინის ფეჩები „Glucvis“-ის სისტემის, ვალცის წისქვილი უცხოეთის სისტემის „ეიკენს“

ტყავის საქონელი

სრულიად რუსეთის ტყავის სინდიკატის

საძირე ტყავი და „კოლუვალი“ სხვადასხვა ხარისხის

დაკვეთები სრულდება სისწორით და წესიერათ

ექიმი

მედიცინის დოქტორი

ა. ა. მონსე

ექიმობს მოზრდილთა და ბავშ
შინაგანი ორგანოების და ნერვ
ლი სისტემის ავადმყოფობას
ელექტრო-სინათლის
სამკურნალო კაბი
მიღება: დილით 10 ს.—12 საათ
და საღამოს 5 ს.—7 საათამდე პლ
ნოვის პროსპ. № 111, ბინა 2
ქვ. № 2052—25

ექიმი

ე. ი. კალანდაძე

ლებულობს ავადმყოფებს შინ
ავადმყოფობით შეპყრობილთ ს
მოს 5—7 საათამდე. ვენერიულ
სიფილისით ავადმყოფთ
საათამდე. გუნიბის ქუჩა № 6, მ
კოვის ქუჩის დასაწყისში.
25—

ექიმი

ს. ა. გალუსტიანი

შინაგანი, კანის და ვენერიული ა
დმყოფობანი; ქრონიკული და მწ
0 ←0 ტრიპერი, სიფილისი 0
ავადმყოფების მიღება დილის 25
საათ. და 4—7 საათ. ქალების მ
ბა 2—4 საათ. ელისაბედის ქ.
მეორე სახლი კირკის ქუჩის კუთხ
25—17 ქ. № 22

დავკარგე ღვინის გადასატანი
მობა მოცემული
პერატ. საზოგადოებიდან № 350
ჭრელაშვილის სახელობაზე. ჩაითვალო
უქმებულათ.
2445.

დავკარგე პირადობის მოწმო
1888 მარგალიტა
სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ.
2450.

დავკარგე მეტრიკა № 40/1
ნინა ივანეს ასული
კელის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებუ
2418.

დავკარგე პირადობის მოწმო
ლებული ნამაჩევის
ალმასკომიდან და სამხედრო აღრიცხ
რათი სამსონ ტარიელისძე მასხარაშ
სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ.
2447.

დავკარგე პირადობის მოწმობ
საწევრო წიგნაკი
ალექსისძის ლომთაძეს სახელობაზე. ჩაი
ლოს გაუქმებულათ.
2444.

დავკარგე პირადობის მოწმობ
სამხედრო აღრი
ფურცელი იოსებ ილიასძე ჩიტოშვილი
ხელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ.
2451.

დავკარგე მედსანშრომის კავ
დან მოცემული საწ
წიგნაკი № 268 ილია თედორესძე დოლ
სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ.
2452

დავკარგე პირადობის მოწმობ
1465, მოცემული
კერჩის მილიციის მიერ ვლადიმერ იაკ
ძე იაკშინგის სახელზე და უმუშევრობის
ნაკი, მიღებული შრომის ბირჟაში. ჩაი
ლოს გაუქმებულათ.

დავკარგე საწევრო წიგნაკი მ
მული მედსან შრ
კავშირიდან № 2915 გალაქტიონ ცქ
შვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებუ
2454.

დავკარგე მეტრიკული ამოწერ
ბა იოსებ დიმიტ
ვეზირიშვილის სახელზე, ჩაითვალოს გ
მებულათ.
2456.

დავკარგე მეტრიკული მოწმობა
528, ვლასი მოსესძე
რელიშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუ
ბულათ.
2455.

დავკარგე სამხედრო კომისარიატ
მიერ მოცემული მ
ბა ფორმა № 4 გიორგი სიმონისძე
მონას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულა
უფ. 2456.

დავკარგე პირადობის მოწმობა
ცემული ქ. ხაშურის
ლიციის სამმართველოდან (№ 77) და
წიგნების მოწმობა (№ 2), მოცემული ოზ
გეთის მმაჩის მიერ ნინო ილიას ასუ
ფერაძე—ჯაჭუშიას სახელზე. ჩაითვალოს
უქმებულათ.
2457.

დავკარგე დამხლევე კასიდან მო
მული წიგნაკი სათბი
ნინა გოგიაშვილის სახელობაზე და პირად
ბის სურათი. ჩაითვალოს გაუქმებულათ.
2463.

განცხადებები

შაბათს, 18 ოქტომბერს, შუადღის 3 საათზე გარდაიცვალა

ფილიპე გუჯუასძე მგელაძე

რასაც აუწყებენ ნაცნობ-მეგობართ მეუღლე **მისი ანა ხტანისლავის ასული.**

დაკრძალვა მოხდება **დღეს,** სამშაბათს 21 ოქტომბერს ვერის სასაფლაოზე.

გამოსვენება შუადღის 3 საათზე საკუთარ ბინიდან—წითელარმიელის ქ. (ყოფ. კადეტის) № 1

ნ. № 39 1—1

ძმები ალექსანდრე ცოლით ელპიდათი და შვილებით; ქეთევან, დათიკო, რუსუდანი და თინათი, ამბაკო ცოლით პელაგიათი და შვილებით: თამარა და ვლადიმერით და და მართა აუწყებენ ნაცნობ და მეგობართ, რომ გარდაიცვალა მათი ძვირფასი

ფილიპე მგელაძე

დაკრძალვა მოხდება დღეს, სამშაბათს 3 საათზე ვერის სასაფლაოზე. გამოსვენება საკუთარ ბინიდან—წითელარმიელთა ქუჩა (ყოფ. კადეტის № 1.

ნ. № 39—1—1

ღრმა მწუხარებაში მყოფნი ცოლის დები ელისაბედ ფირალაშვილისა, გრაცია მჭედლიშვილისა შვილებით ირაკლით, ნინოთი და ქეთევანით, ევგენია სოლორაშვილი, მაგდანელა მალაკიანისა ქალიშვილით ვალენტინათი, ოლიმპიადა ჩხეიძისა ქალიშვილებით ნატალია და ლიტუსით, ძმები იოსები ცოლით ცელინათი, შვილებით ნინა, თამარა და სტანისლავი და გრიგოლ სოლორაშვილი აუწყებენ ნაცნობ-მეგობრებს, რომ გარდაიცვალა მათი ძვირფასი

ფილიპე მგელაძე

დაკრძალვა დღეს, 3 საათზე ვერის სასაფლაოზე.

ნ. № 39—1—1

გიორგი ჭუმბურიძე და თედორე კიკვაძე აუწყებენ მეგობრებს და ნაცნობებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი ძვირფასი მეგობარი და თანამშრომელი

ფილიპე მგელაძე

ცხედრის გამოსვენება ბინიდან (წითელარმიელთა ქ. № 1, ყოფილი კადეტთა) დანიშნულია სამშაბათს, 21 ოქტომბერს, ნაშუადღევის 3 საათზე

ქვ. № 2446—1—1

გულდამწვარი მარიამ გრიგოლის ასული და პეტრე ალექსანდრეს-ძე ხომერიკი შვილებით—ელენე პეტრეს ასული და გიორგი სიმონისძე ბახტაძე—აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს პირველთა ძვირფასი და დაუვიწყარი ნათლიის—ხოლო მეორეთ გულწრფელი და საყვარელი მეგობრის

ფილიპე გუჯუასძე მგელაძის

უდროოთ გარდაცვალებას

№ 2462—1—1

„კომუნისტი“-ს კანტორისაგან

პროვინციელ სხვადასხვა ორგანიზაციების და კერძო პირთა საყურადღებოდ ცხადდება, რომ განცხადებები მოწმობების დაკარგვის (და აგრეთვე სხვა ხასიათისაც)

უფასოდ არ დაიბეჭდება!

ჟურნალ „კავკასიონის“ ხელისმომწერთა საყურადღებოდ

სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმი ამით აცნობებს „კავკასიონის“ ხელისმომწერლებს, რომ გამოდის ახალი გამოცემა მწერალთა კავშირისა.

ჟურნალი „ახალი კავკასიონი“.

რომელიც დაურიგდება „კავკასიონის“ ხელისმომწერლებს.

მწერალთა კავშირის პრეზიდიუმი.

შ. შემიშვილი

მსოფლიო ომი

სახელმწიფო გამომცემლობა

იყიდება ყველგან

ა. წ. 22 ოქტომბერს დღის 10 საათზე

ზაჰესის მთავარი საგუბრის

ცალკე მუშაობის მწარმოებლის კანტორაში, სამუშაოთა ადგილად, ზემო-ავჭალაში დანიშნულია

შეჯიბრება

მდ. მტკვრის კალაპოტის მარჯვენა ნაპირიდან ჯებირსა და ხის ხიდის შუა ადგილიდან 1,000 კუბ. საჟ. ხრეშისა და 500 კუბ. საჟ. სილის გადმოზიდვაზე,—იმავე კალაპოტის პირდაპირ რიყეზე საქ. სამხ. გზისა და რკინის გზის ლიანდაგის შორის მდებარე საწყობებში მიზიდვით. სილა და ხრეში დაწყობილი იქნება ცალცალკე. სამუშაოს დაწვრილებით პირობების და სილის და ხრეშის საწყობების და მათი დამზადების ადგილ-მდებარეობის გეგმები შეიძლება მსურველებმა განიხილონ ზემოხსენებულ კანტორაში ყოველ დღე დილის 9 საათიდან საღამ. 5 საათამდე.

შეჯიბრების დამთავრების შემდეგ, სამუშაოს ამღებმა ხელშეკრულების დადებისას უნდა შეიტანოს ზაჰესის სალაროში საწინდარი სამუშაოს საერთო ღირებულებიდან 5 პროც.-ის რაოდენობით. ეს საწინდარი შემდეგ ხვედრ მისაღებ თანხებიდან 10 პროც. დაკავებით გადიდებული იქნება საერთო ღირებულების 10% რაოდენობამდე

ზაჰესის მთ. საგუბრის ცალკე მუშაობის მწარმოებელი, ინჟინერი კარელინი

ნის. № 41—1—1

15 ოქტომბრიდან სახლის

წყლის წიგნების და საბუთების შემოწმება

რომელიც ამდენხანს სწარმოებდა ალმასკომის შენობაში [illegible]

შეწყვეტილია

იმ აბონენტებთან კი, რომელთაც ვერ მოასწრეს წიგნების გასწორება, ჩამოიჭრიან წყალს. უბნის კონტროლიორები სახლებში იმავე მიზნით, ამიტომ აბონენტები ვალდებულნი არიან წარუდგინონ მათ სახლის წყლის წიგნი და საბუთები გასასწორებლად. ვინც ამას არ შეასრულებს, წყალი არ მიეცემა

წყალსადენის დირექტორი ბრეგვაძე
კანც. გამგე ქურთიშვილი

ნის. № 40 3—1

ლენინგრადის მანქანათა სააღმშენებლო სახელმწიფო ტრესტი

„მაშინოსტროი“

წარმომადგენლობა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებისა და ქ. გროზნოსათვის მისი რაიონებით.

ქარხნები, რომლებიც შედიან ტრესტში:

1. „კრასნი პუტილოვეც“ (ყოფ. პუტილოვის)
2. ლენინგრადის ლითონის ქარხანა
3. კარლ მარქსის სახელობის მექანიკური ქარხანა (ყოფ. ლესნერ)
4. „რუსკი დიზელ“ (ყოფ. ნობელის)
5. ენგელსის სახელობის ინსტრუმენტალური ქარხანა (ყ. აივაზ.)
6. „ეკონომაიზერ“ (ყ. „ატლას“)
7. პნევმატიურ მანქანების ქარხანა (ყოფ. „პნევმატიკა“).
8. ინტერნაციონალ (ყოფ. არტურ კოპპელ).
9. მანქანების ქარხანა სვერდლოვის სახელობის (ყ. „ფენიკს“).
10. „წითელი მილი“ (ყოფ. „ჩრდილოეთის მილის ქარხანა)“.
11. „ვულკან“.

საგნები, რომლებსაც ამზადებენ ტრესტის ქარხნები:

1. **შინაგანი წვის მამოძრავებლები.**
   ა) დიზელები „ლიუდვიგ ნოლის“ ქარხნის 35-დან 650-დი ცხენის ძალის სხვადასხვა დანიშნულებისათვის.
   ბ) ორტაქტიანი მამოძრავებლები „ექვალ“ 9-დან 40-დი ცხენის ძალით.
   გ) ორტაქტიანი მამოძრავებლები „ატლანტ“.
2. **წყლის მამოძრავებლები სხვადასხვა ტიპების და სისტემების.**
3. **ორთქლის მანქანები და ტურბინები.**
4. **ორთქლის ქვაბები ყოველგვარი ტიპების წყლის მილებიანი, მილებიანი და ცილინდრიანი.**
5. **ეკონომაიზერები გრინის და სხვა სისტემების, ორთქლის ხელახლა გასათბობათ და წყლის გასათბობათ.**
6. **კომპრესორების და მაცივარის მოწყობილობა, პნევმატიური მანქანები და მოწყობილობა.**
7. **საქაჩავები ორთქლის, ელექტრონის და სხვა სისტემის.**
8. **ამწევი კრანები რკინისგზის, ჩამოსასხამი, ქუჩების.**
9. **ლითონის ფერმები და კონსტრუქცია.**
10. **თამბაქოს მანქანები პაპიროსების გასატენი, პაჩკებში ჩამლაგებელი და სხვ. და აგრეთვე მანქანების ცალკე ნაწილები.**
11. **მანქანები ბამბის და ბრინჯის გასაწმენდი.**
12. **სასოფლო-სამეურნეო მანქანები, ერბოს დასამზ. პრესები, წისქვილის მოწყობილობა და სხვ.**
13. **ყოველგვარი მანქანები და მოწყობილობა სპეციალური დაკვეთით.**
14. **გაზის მილები შავი და ცინკშემოკრული, მათი შემაერთებელი ნაწილები და სხვ.**
15. **ფოლადი მანქანების დასამზადებლათ და სხვ.**
16. **სხვადასხვა მანქანები, ბურღი, ხერხი და სხვ.**

გამგეობა: ლენინგრადი, ჩაიკოვსკის ქ. № 17.

კანტორები ამიერ-კავკასიაში:
თბილისი, ხოლოლაკის ქ. № 2.
ბაქო, ყორღანოვის ქ. № 6.
ბათომი, (დროებით), კარლ მარქსის ქ. № 10.
გროზნო, რევოლიუციის პროსპექტი № 26.

რწმუნებული ინჟინერი ბ. ი. ვახილევსკი. ნ. 37 1—1

ელექტრონით და სინათლით

სამკურნალო

საწოლებით რენტგენი დ·არსონვალი

მიხეილ მედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ

მიღება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20.

№ 2095—25—25

რემინგტონზე მომუშავე

ქართ. და რუს., 12 წ. პრაქტიკით, გატარებული ვარ კონკურსში, ვეძებ მუდმივ სამსახურს. მიმართვისათვის

ტელ. 9—59.

2449. 2—1.

ტირაჟი 18.000

სტამბა „ზარია ვოსტოკას“, საწ. წულუკიძის ქუჩა № 4